




სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი





შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და
ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის
2020 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

თბილისი
2021 წ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2923299; (+995 32) 2922632
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

- შესავალი.....
- სტრატეგიული მიზანი 1.....
თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....
- სტრატეგიული მიზანი 2
თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა
- სტრატეგიული მიზანი 3
ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის
გაუმჯობესება.....
- სტრატეგიული მიზანი 4
ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება.....

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“, რომელიც ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და მიდგომას „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“. სახელმწიფო სტრატეგია მიმართულია ერთის მხრივ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თითოეული მოქალაქის თანასწორი, სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მეორეს მხრივ კი, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული იდენტობის დაცვისა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებისკენ.

2020 წელს გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი.

მუშაობა წარიმართა სტრატეგიით განსაზღვრული ოთხი პრიორიტეტული მიზნის ფარგლებში:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

2020 წლის ბოლოს მიმდინარე სტრატეგიას ვადა ამოეწურა. შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით მოამზადა მოქმედი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები, რაც ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოქვეყნებულ დასკვნებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან ერთად საფუძვლად დაედო ახალ სტრატეგიულ დოკუმენტს; გათვალისწინებული იქნა ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები და ჩამოყალიბდა მათი დაძლევის მექანიზმები. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2021-2030 წწ.)“ ახალ დოკუმენტზე მუშაობა წარიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობითა და დარგობრივი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს, დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით.

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით საქმიანობა განაგრძო სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ. გაიმართა კომისიის გასვლითი სხდომები,

სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებულია ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში.

ამავდროულად, გლობალური პანდემიისა და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ოპერატიულ რეჟიმში დაიგეგმა და განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური დახმარების კამპანიები.

წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, ასახავს ინფორმაციას სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებების მიერ 2020 წლის სამოქმედო გეგმით (იანვარი-დეკემბერი) განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

სტრატეგიული მიზანი 1

თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

შუალედური მიზანი - 1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა ამოცანა - 1.1.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

მოცემული ამოცანის ფარგლებში გამოკვეთილია შემდეგი მიმართულებები:

- ❖ მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების იდენტობის დაცვის ხელშეწყობა;
- ❖ ბომა ახალგაზრდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა.

სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს ერთიან მიდგომას, როგორც მრავალრიცხოვანი, ასევე მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ, რაც კულტურული იდენტობის დაცვასა და მხარდაჭერას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

2020 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ბომა მოზარდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის მიზნით, პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ფარგლებში დააფინანსა 13 პროექტი, მათ შორის 3 პროექტი მიზნად ისახავდა ბოშების სოციალიზაციას.

1.1.1.1 სოციალური სერვისების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის COVID-19 პანდემიის პირობებში განსაკუთრებულად აქტუალური იყო ერთი მხრივ, დროული და ეფექტიანი ინფორმირება კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე, მეორე მხრივ კი, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ჰუმანიტარული დახმარება. ბოშა მოსახლეობასთან საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე (გარდაბანი, დედოფლისწყარო, თელავი, თბილისი, ფოთი, სამტრედია, ქუთაისი, ქობულეთი) გაიმართა შეხვედრები. შეხვედრებზე მათ მიეწოდათ ინფორმაცია მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და ამავდროულად, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები (380 კალათა).

1.1.1.2 მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ჩატარება

პანდემიის პირობებში, სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფის ფორმატში აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა, თუმცა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში განხილულ იქნა ბოშა მოსახლეობის საჭიროებები და სახელმწიფო მინისტრის კოორდინირებით განხორციელდა მათზე მყისიერი რეაგირება. იხილეთ აქტივობა 1.1.1.1.

1.1.1.3 ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრის „მეგობრობის სახლის“ ფარგლებში ქ. ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საინდეტიფიკაციო დოკუმენტების მოწესრიგების საკითხში დახმარების გაწევა

წლის განმავლობაში საკითხთან დაკავშირებით მომართვიანობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად მომსახურება არ განხორციელდა.

1.1.1.4 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მიერ შეხვედრების ორგანიზება

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.1.1.5 საინფორმაციო კამპანიის წარმოება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდების შესახებ

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით განაგრძო საინფორმაციო და სოციალური დახმარების კამპანიების აქტიურ რეჟიმში განხორციელება. საინფორმაციო კამპანია წარიმართა სამი მიმართულებით:

- ❖ მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 100 000-მდე ბროშურა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;

- ❖ გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, გაიარონ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში საშვის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მომსახურება.
- ❖ გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში თანატოლებთან დისტანციური შეხვედრების ჩატარებას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის ანტიკრიზისულ გეგმასთან დაკავშირებით. 5 მუნიციპალიტეტის, 36 სოფელში, ჩატარდა 7 შეხვედრა/ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 267 ბენეფიციარმა.

შუალედური მიზანი: 1.2 გენდერული მენისტრინგი

ამოცანა: 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

წლის განმავლობაში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- ❖ ქალთა უფლებების/გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ❖ ოჯახში ძალადობა/ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ❖ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

1.2.1.1 გენდერული თანასწორობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიება ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.2 სასწავლო ტრენინგ-კურსის გამართვა „როგორ დავიწყოთ და განვაავითაროთ ბიზნესი“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ქალებისათვის

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ჩატარდა სასწავლო/ტრენინგ-კურსი, მოდიფიცირებული სახელწოდებით - „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - საინვესტიციო წინადადების მომზადება და წარდგენა“ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქალებისთვის. სასწავლო კურსის მიზანი მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება იყო; ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა 16-მა ბენეფიციარმა, რომელთაც კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ გადაეცათ სერტიფიკატები.

1.2.1.3 გენდერული თანასწორობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობისთვის; საინფორმაციო მასალების დარიგება

ილიაუნის სამართლის სკოლის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) პროგრამასთან თანამშრომლობით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში გაიმართა დისტანციური პანელური დისკუსია თემაზე: „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა COVID-19-ის კონტექსტში“. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა სამინისტროს მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებზე, მიღწეულ პროგრესზე და არსებულ გამოწვევებზე. მითითებულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც.

1.2.1.4 დისკრიმინაციული (მათ შორის, გენდერული) ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე ახალი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს დისკრიმინაციული (მათ შორის, გენდერული) ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე მუშაობა. კანონის პროექტით გათვალისწინებულია დისკრიმინაციული (მათ შორის, გენდერული) ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. პროექტის შემუშავებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2.1.5 საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოების სხდომების ჩატარება

კახეთის მხარეში სახელმწიფო-რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური (COVID – 19 პანდემია) სიტუაციის გამო.

1.2.1.6 ქალთა ოთახის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება; გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებში, ტრენინგებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობა

2020 წლის განმავლობაში ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახმა განახორციელა შემდეგი შეხვედრები, ტრენინგები და აქტივობები.

- ❖ ქ. თბილისის საკრებულოს შენობაში შედგა საქართველოს მასშტაბით ქალთა ოთახების მენეჯერების გაერთიანებული შეხვედრა, სადაც განიხილეს ქალთა ოთახების როლის გაზრდის შესაძლებლობა და სამომავლო გეგმები, აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა ახმეტის ქალთა ოთახის წარმომადგენელიც.
- ❖ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის, გამოწვევების განხილვის მიზნით გაიმართა შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: სოფლად მცხოვრები , არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი, ადგილობრივი ფერმერი, მეწარმე და მერიის თანამშრომელი ქალები. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა უშუალოდ მათგან მოისმინეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მუნიციპალიტეტში

არსებული მდგომარეობა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, სადაც საუბარი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

1.2.1.7 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრ „მეგობრობის სახლში“ მოქმედი “ქალთა კლუბის” ფარგლებში შეხვედრების ორგანიზება ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების/პრევენციის მიზნით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.8 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრ „მეგობრობის სახლში“ გენდერული თანასწორობის თემატიკაზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.9 ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებული გენდერული საბჭოს მიერ ორგანიზებული შეხვედრების ჩატარება

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.10 ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე, ასევე არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ქ. თბილისსა და რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან (წელიწადში მინიმუმ 1 შეხვედრა)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.11 მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახის“ მიერ თემატური შეხვედრების/ტრენინგების გამართვა

საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახის“ მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები/პროექტები. კერძოდ, „ქალთა ოთახი“-ს მხარდაჭერით, განხორციელდა:

- ❖ პროექტი - „დეკორატიული მცენარეების განაშენიანება“, დაფინანსდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 2 ქალის პროექტი;
- ❖ 10 მეწარმე ქალის მონაწილეობით ჩატარდა კვლევა, სადაც გამოიკვეთა მათი ძირითადი საჭიროებები;

- ❖ მუნიციპალიტეტის 40 სოფელში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში, ჩატარდა კვლევა - COVID-19-ის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით;
- ❖ „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლების მიერ 18 ადმინისტრაციული ერთეულის მასშტაბით, შერჩეული იქნა აქტიური ახალგაზრდები, რომლებმაც ქართულ-აზერბაიჯანულ ენაზე განახორციელეს ცნობიერების ამაღლების კამპანია, სლოგანით - „დარჩი სახლში“; „გავუფრთხილდე ერთმანეთს“;
- ❖ განხორციელდა 8 ადგილობრივი ქალის მხარდაჭერა პროექტების მომზადების ეტაპზე;
- ❖ სოციალურად შეჭირვებულ 35 ქალს გაეწია ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარება;

რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 12 საინფორმაციო შეხვედრა სამართლებრივ, ეკონომიკურ, ფინანსურ, საზოგადოებრივ და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით (89 ბენეფიციარი).

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.2.1.12 გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებში შესაბამისი კომისიების შექმნა/ან „ქალთა ოთახების“ მიერ სამოქმედო პროგრამების შემუშავება

2020 წელს სამცხე-ჯავახეთის მხარეში რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის გენდერზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით, „ქალთა ოთახების“ მიერ მუნიციპალიტეტებში განხორციელდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამოქმედო პროგრამების შემუშავება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სტატისტიკური მონაცემების ბაზის ფორმირება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

დამატებითი ღონისძიება:

2020 წელს **გარდაბნის მუნიციპალიტეტში** გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა ტრენინგები დისტანციურ ფორმატში გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში 2020 წლის განმავლობაში გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტი შეუერთდა ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას, მოქმედებდა ძალადობის მსხვერპლთა ფულადი დახმარება, ასევე დახმარება გაეწიათ მრავალშვილიან ოჯახებს, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, სახელმწიფო საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 ბენეფიციარს.

შუალედური მიზანი: 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

ამოცანა: 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში საჭიროებისამებრ ხელშეწყობა

1.3.1.1 საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება

2020 წელს, სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, თბილისში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, როგორც პირდაპირი კომუნიკაციის გზით, ასევე ციფრული ფორმატით, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ჩატარდა 25-მდე შეხვედრა (350-მდე ბენეფიციარი).

წლის განმავლობაში, ცენტრი სოციალური მედიის საშუალებით ახორციელებდა აქტიურ საინფორმაციო კამპანიას დასავლური ინსტიტუტების მუშაობის პრინციპების, დასავლური ღირებულებების და ფასეულობების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, პოზიტიური შედეგებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შესაბამისი ინფორმაცია მომზადდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გავრცელდა შესაბამისი სამიზნე ჯგუფებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო ცენტრმა მოამზადა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა საინფორმაციო მასალები: „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, „მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“. მიმდინარეობს ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება და თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.3.1.2 „მეგობრობის სახლის“ საქმიანობის ფარგლებში საჭიროებისამებრ, არაქართულენოვანი განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის თარგმნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში სანოტარო დამოწმება

საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლში“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომართვიანობა არ ყოფილა, შესაბამისად, წარმოდგენილი აქტივობა არ განხორციელდა.

1.3.1.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული/მისაღები გადაწყვეტილებების გაცნობა

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.3.1.4 სახელმწიფო ენის სწავლება

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში სახელმწიფო ენის კურსი 18 სკოლაში გაიარა 1970 ბენეფიციარმა.

1.3.1.5 „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომსახურების დანერგვა ყველა მუნიციპალიტეტში, სათანადო თარჯიმნებით უზრუნველყოფა; სომხური და რუსული ენის მცოდნე პირების გამოყოფა მუნიციპალიტეტებსა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მოქმედებდა „ერთი ფანჯრის“ პრინციპი და მოქალაქეებს ენობრივი ბარიერის გამო არ ექმნებოდათ დაბრკოლებები. სამხარეო ადმინისტრაციაში და კომპაქტურად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტების საჯარო მმართველობის ერთეულებში მუშაობენ საჯარო მოხელეები, რომლებიც ფლობენ სომხურ და რუსულ ენებს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევენ მოქალაქეებს. წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში 1061 მოქალაქეს გაეწია დახმარება მისთვის გასაგებ ენაზე.

ამოცანა: 1.3.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში

1.3.2.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილი საზოგადოებრივი-საკონსულტაციო საბჭოს სხდომების გამართვა

ქვემო ქართლისა და კახეთის რწმუნებულების ადმინისტრაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

ამოცანა: 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის

1.3.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების გაცნობის მიზნით შეხვედრების ჩატარება

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით წლის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პედაგოგებთან, უხუცესებთან. შეხვედრებზე ინტერაქტიული რეჟიმში განიხილებოდა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები; წლის განმავლობაში გაიმართა 30-მდე შეხვედრა.

1.3.3.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით დისტანციური შეხვედრა გაიმართა საქართველოს გაეროს ასოციაციის პროგრამა PITA-ს ახალგაზრდულ ჯგუფებთან. შეხვედრაზე საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19-ის პრევენციისთვის გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ იმსჯელეს.

ასევე, ჩატარდა დისტანციური შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელების თანამშრომლებთან და საქართველოს 6 რეგიონიდან სამოქალაქო აქტივისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიის წარმომადგენლებთან. მონაწილეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს კორონავირუსის დაძლევა/პრევენციის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობის, ასევე მიმდინარე ღონისძიებებსა და საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებით.

2020 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც სოციალური ზეგავლენის ნეგატიურ შედეგებზე, ასევე მისი გავრცელების პრევენციის სტრატეგიებზე. ამ მიზნით, დაიწყო ტრენინგების სერია თემაზე „დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა“, სადაც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ რეგიონებში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (30 მონაწილე). ტრენინგი გაგრძელდება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიების მონაწილეობით, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებას.

1.3.3.3 ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან/სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო მასალების მომზადება, თარგმნა/ბეჭდვა

საქართველოს მთავრობამ COVID 19 პანდემიის გამოცხადების პირველივე დღეებიდან იმოქმედა გამოწვევების საპასუხოდ, რაც ერთი მხრივ, მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, მეორე მხრივ კი, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას ისახავს მიზნად.

- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო ვებ-გვერდი StopCov.ge ექვს ენაზე (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური), სადაც მუდმივად განახლებად რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის განთავსება კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა სიახლის შესახებ.
- ❖ ამოქმედდა სამთავრობო საინფორმაციო სპეციალური ცხელი ხაზი 144, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო კონსულტაცია.
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან ოპერატიულად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის ინფორმირება. 3 მარტიდან წარიმართა უპრეცედენტოდ აქტიური და ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია COVID 19-ის გავრცელების პრევენციის ზომების, დაწესებული რეგულაციებისა და შეზღუდვების, შეღავათებისა და კომპენსაციების შესახებ;

- ❖ მომზადდა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე ითარგმნა საინფორმაციო მასალები კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის: ჰიგიენის დაცვის წესები, კარანტინის წესები, ანტიკრიზისული გეგმა, ხშირად დასმული კითხვები და სხვა აქტუალური საკითხები. 529 100 ერთეული საინფორმაციო მასალა (საინფორმაციო ბროშურები და პოსტერები) ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, რამდენიმე ეტაპად და კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში.
- ❖ საზოგადოების ინფორმირებისა და პრევენციის ღონიძირების თემატიკაზე მომზადდა არაქართულენოვანი გაზეთების - აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გამოშვებები (ტირაჟი 4500) და სპეციალური დამატებითი რედაქცია (ტირაჟი 6000), სადაც განთავსდა სრული ინფორმაცია კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე.
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო ვიდეო-რგოლების თარგმნა და რეგიონული ტელევიზიების ეთერებში განთავსება;
- ❖ ეტაპობრივად, აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური) მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განთავსებული ანძების მეშვეობით გაეგზავნა მობილური ნომრების აბონენტებს;

ინფორმირების კამპანიასთან ერთად ყურადღება დაეთმო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მათთვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების გადაცემას. პანდემიის პირველი ტალღის დაწყებისთანავე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ ბოშათა ოჯახებსა და ამავდროულად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები (605 პაკეტი). აქედან, ქვემო ქართლის რეგიონში - 102 პაკეტი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 50 პაკეტი; კახეთის რეგიონში - 73 პაკეტი და ბოშათა ოჯახებისთვის - 380 პაკეტი.

პანდემიის მეორე ტალღის საპასუხოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით განაგრძო საინფორმაციო და სოციალური დახმარების კამპანიების აქტიურ რეჟიმში განხორციელება. საინფორმაციო კამპანია წარიმართა სამი მიმართულებით:

- ❖ მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 100 000-მდე ბროშურა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;
- ❖ გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, გაიარონ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში საშვის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მომსახურება.

გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებმაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში თანატოლებთან დისტანციური შეხვედრები ჩაატარეს კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე. საერთო ჯამში

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები 5 მუნიციპალიტეტის 36 სოფელში.

სოციალური დახმარების კამპანია ითვალისწინებდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები დედ-მამით ობოლი და შშმ ბავშვებისათვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტების (729) გადაცემას. აქედან, ქვემო ქართლის რეგიონს გადაეცა -353 პაკეტი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონს - 134; კახეთის რეგიონს კი - 242 პაკეტი.

1.3.3.4 საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. COVID-19-ის პანდემიის გამო, მოქალაქეების მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცენტრმა 2020 წლის მარტიდან საქმიანობა ციფრულ ფორმატში განაგრძო. შესაბამისად, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი შეცვლილ, ონლაინ შეხვედრების ფორმატით განხორციელდა, ხოლო ზოგიერთი პროექტის განხორციელება დროებით გადაიდო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა განახორციელა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, ჩატარდა: საჯარო ლექციები, სემინარები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინფორმაცია მიეწოდათ ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობის და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესიდან მომდინარე სარგებლის შესახებ. საინფორმაციო ცენტრმა იმუშავა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან: მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მედიასა და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით აღსანიშნავია სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი: ციფრულ ფორმატში გამართული „ევროპის დღეები 2020“, რომელიც სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით განახორციელა; პროექტი „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“, რომელსაც ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

1.3.3.5 პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ ფარგლებში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

იხ: 1.3.3.14

1.3.3.6 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლებისთვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით პროექტების განხორციელება

სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.3.3.7 ქ. ბათუმში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.3.3.8 საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალური პროგრამების (განათლების პროგრამები, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები, სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებები) შესახებ ინფორმაციის მიწოდება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.3.3.9 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ქ. თბილისის საკრებულოს საქმიანობის გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.3.3.10 ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე მომზადებული საგანმანათლებლო ბეჭდური და ვიდეო მასალის გავრცელება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და მომზადდა COVID-19-თან დაკავშირებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის მასალები (სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე); მომზადდა სუბ-ტიტრები საგანმანათლებლო ვიდეო რგოლისათვის.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში მასალები გავრცელდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეგიონული ცენტრების ქსელის, ასევე ცენტრის სოციალური მედიის და ვებ-გვერდის მეშვეობით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით მომზადდება COVID-19-ის საკომუნიკაციო გეგმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული

რეგიონებისათვის, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობებს (ბეჭდური და ვიდეო მასალის შემუშავება, ვებინარები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში, მ.შ. სამედიცინო პერსონალი, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სასულიერო პირები).

საანგარიშო პერიოდში ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო შეხვედრებში რეგულაციების გათვალისწინებით სკოლის პედაგოგებთან.

წლის განმავლობაში შეხვედრები განხორციელდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და პროექტის „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში“ თანამშრომლობით.

გაეროს ბავშვთა ფონდის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა COVID-19-თან დაკავშირებული რისკის კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩართულობის 2020-2022 წწ. სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის ფარგლებში დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს რიგი საგანმანათლებლო ღონისძიებები.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის, დიდი ბრიტანეთის მთავრობისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით ცენტრის მიერ შემუშავდა "რისკების კომუნიკაციის სტრატეგია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისული სიტუაციის დროს საქართველოში".

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მომზადდა საინფორმაციო კლიპები პირბადის სწორად ტარების შესახებ; პრევენციული ღონისძიებების შესახებ; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მომზადდა სატელევიზიო კლიპი აზერბაიჯანულ ენაზე ადგილობრივი პოპულარული ადამიანების მონაწილეობით პრევენციული ღონისძიებების მხარდასაჭერად.

დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოში COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

2020 წლის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დისტანციური ფორმატის ტრენინგების ციკლი საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული წარმომადგენლის მონაწილეობით პანდემიის კონტექსტში ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ციფრული კომუნიკაციის საკითხებზე; ტრენინგზე მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების წარმომადგენლებმაც.

წლის განმავლობაში, დონორების დაფინანსებით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა სახის მასალა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

1.3.3.11 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ პენიტენციურ დაწესებულებებში მიღება-განთავსების დროს

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა უფლებების შესახებ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ტექსტური ვიდეო რგოლები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე. ასევე, ყველა პენიტენციური დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში არსებობს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ვერსიები ხუთ ენაზე: რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და ინგლისური. მოთხოვნის შემთხვევაში, სასურველ ენაზე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით.

საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა შესახლების დროს ხდებოდა მათი ინფორმირება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების და მოვალებების“ შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულ/მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ხდებოდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სათარჯიმნო მომსახურებით.

ამასთან, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის პროექტის (EU4Justice) დახმარებით შემუშავდა და დაიბეჭდა განახლებული ბროშურა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლება-მოვალებების შესახებ, რომელიც ითარგმნა ინგლისურ, რუსულ, თურქულ და სპარსულ ენებზე და გავრცელდა პენიტენციურ დაწესებულებებში.

საქართველოში, მიმდინარე წლის 26 თებერვალს, COVID-19-ის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან მალევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური პენიტენციურ დაწესებულებებში COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციისათვის ახორციელებენ პროაქტიულ ღონისძიებებს რელევანტური ეროვნული და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად. ამ პროცესში გათვალისწინებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ძირითადი უფლებების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პენიტენციური დაწესებულებების პოპულაციის/თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვას შორის ბალანსის შენარჩუნების მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ყველა ბრალდებულ/მსჯავრდებულ, მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმირებულია დაწესებულებაში შემოღებული შეზღუდვების მიზნებისა და მნიშვნელობის, ასევე ჰიგიენური პროცედურების დაცვის აუცილებლობის შესახებ.

დამატებით, 2020 წლის 20 მარტს, სპეციალური სატელევიზიო არხი გააქტიურდა ყველა პენიტენციური დაწესებულების თითოეულ საკანში, რომლის საშუალებითაც პატიმრები მუდმივად ინფორმირებულნი არიან საქართველოს პენიტენციურ სისტემაში (სპს) COVID-19-ის შესაძლო გავრცელების თავიდან ასაცილებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპს-ის მიერ მიღებული ზომების შესახებ. ამავე არხზე საქართველოს მთავრობის სპეციალური ვებგვერდიდან www.stopcov.ge აღებული შესაბამისი ინფორმაცია სამ სხვადასხვა ენაზე (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) გადაიცემა.

1.3.3.12 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყო საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება. აღნიშნული მასალები საზოგადოებრივი ცენტრების, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და იუსტიციის სახლის მეშვეობით გავრცელდა. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრების (სართიჭალა, ფოკა, ყვარელწყალი, კაზრეთი, კაბალი, სადახლო, იორმულანლო, ვალე, ბარალეთი, კუმურდო, წალკა, დმანისი, ყაჩაღანი, ნინოწმინდა და ასპინძა) მეშვეობით გავრცელდა 2809 საინფორმაციო ბროშურა. აღნიშნული ბროშურები მოიცავდნენ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: უვიზო მიმოსვლა, ქორწინების რეგისტრაცია, ოჯახში ძალადობა, გენდერი და საკუთრება, იუსტიციის სახლის და საზოგადოებრივი ცენტრის სერვისები, მიწის რეგისტრაცია, სოფლის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პრევენციის მიზნით, მიმდინარე წლის მაისის თვიდან იუსტიციის სახლის ფილიალები და საზოგადოებრივი ცენტრები განსხვავებული ფორმატით უწყვეტ მოქალაქეებს მომსახურებას. კერძოდ, დაინტერესებულ პირს იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში შესვლა და სერვისის მიღება მისთვის სასურველ დღესა და დროს შეუძლია, თუკი ვიზიტს my.gov.ge-ის პორტალზე დაჯავშნის.

1.3.3.13 პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ ფარგლებში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ToT ტრენინგის ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის

სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგის ტრენინგები (TOT - 40 მონაწილე). ტრენინგის მონაწილეები შეხვდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და მოწვეულ ექსპერტებს, გაიდრმავეს ცოდნა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ევროპული ფასეულობების, ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების და მისწრაფებების, საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეების შესახებ და ამავედროულად, მათ მიეცათ შესაძლებლობა დაეხვეწათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პროექტის შემდგომ ეტაპზე ახალგაზრდა თანატოლგანმანათლებლები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, თემის ლიდერებთან. 2020 წელს ზემოხსენებული პროექტების ფარგლებში ტრენინგის ტრენინგები ონლაინ რეჟიმში წარიმართა. (დამატებით იხ. 1.3.3.14)

1.3.3.14 პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ ფარგლებში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

წლის განმავლობაში გაგრძელდა პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“. პროექტი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივაა და ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის” [PITA] ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით უკვე მეოთხე წელია ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თანატოლგანმანათლებელთა მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. 9 მუნიციპალიტეტის 24 სოფელში ჩატარდა 37 შეხვედრა და 703 ბენეფიციარს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და მისგან მიმდინარე სარგებლის შესახებ.

ამოცანა: 1.3.4. საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება

1.3.4.1 „1+4“ სტაჟირების პროგრამის განხორციელება

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2017 წლიდან

ხორციელდება „1+4 სტაჟირების პროგრამა“, რომელშიც დღემდე 300-მდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. 2020 წელს კოვიდ პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება დროებით შეჩერდა.

1.3.4.2 პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა: გამოფენები, ფილმის ჩვენება, დისკუსია

ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წლის განმავლობაში გაიმართა საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები სოფლების: ტალავერის, ნახიდურის, ქვემო ბოლნისისა და დარბაზის ახალგაზრდებთან. შეხვედრებზე განიხილეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებები და მათში ახალგაზრდების ჩართულობის შესაძლებლობა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში დაგეგმილია სათემო ახალგაზრდული კლუბების შექმნა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელმა რეფორმის „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ ფარგლებში, ბოლნისელ ახალგაზრდებთან და მერთან არსებული ახალგაზრდობის საბჭოს წევრებთან საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდა 30-მდე ახალგაზრდა, განხილულ იქნა დოკუმენტის არსებობის აუცილებლობა, დაისახა სამომავლო გეგმები.

1.3.4.3 საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობის ჩართულობის გაზრდისა და პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების მომსახურების შესყიდვა

დმანისის მუნიციპალიტეტში კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდის მიზნით ცალკე ბიუჯეტი არ გამოყოფილა, თუმცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების მიზნით ბიუჯეტის 1%.

1.3.4.4 საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გადამზადება

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ საანგარიშო პერიოდში საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების გზით ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების აღსრულების მხარდასაჭერად“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 7 წარმომადგენელი. ასევე საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 32 წარმომადგენელი.

1.3.4.5 საკონკურსო შერჩევებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მოწვევის მიზნით სათანადო კამპანიის წარმართვა; „ღია კარის დღის“ მოწყობა სახელმწიფო რწმუნებულთან

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა COVID-19 გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

შუალედური მიზანი: 1.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

ამოცანა: 1.4.1 ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევნის გაკეთების უზრუნველყოფა

1.4.1.1 საარჩევნო დოკუმენტაციის და სხვა საინფორმაციო მასალების თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 7 მაჟორიტარულ ოლქში შეიქმნა 348 საარჩევნო უბანი, მათ შორის: ქართულ-აზერბაიჯანული – 211 უბანი; ქართულ-სომხური – 133 უბანი; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის, შესაბამის ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები: საარჩევნო ბიულეტენი; ამომრჩეველთა ერთიანი სია (*ამომრჩეველთა ერთიანი სია განთავსებული იყო კენჭისყრის ოთახში და ცესკოს ვებგვერდის voters.cec.gov.ge საძიებო სისტემაში*); ბიულეტენის შევსების წესი; კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი; ცესკოს ვებგვერდზე ბანერი „ეთნიკური უმცირესობები“¹; ცესკოს 2020 წლის 18 სექტემბრის №38/2020 დადგენილება „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი/საკრებულოების შუალედური/მერების რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“; საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესი (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 200); შემდეგი საინფორმაციო ფლაერები: „საარჩევნო ადმინისტრაციის სერვისების შესახებ“; „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“; „კენჭისყრის პროცედურები“; „ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს“; ცესკოს თავმჯდომარის ინტერვიუ (საგაზეთო ჩანართი). მასალები გავრცელდა ასევე სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „გურჯისტანის“ საშუალებით.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ითარგმნა (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) და დაიბეჭდა შემდეგი სახელმძღვანელოების ინსტრუქცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებები კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები, საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრის ფუნქციები, სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის

¹ იხილეთ ცესკოს ვებგვერდზე ბანერი „ეთნიკური უმცირესობები“ <https://cesko.ge/geo/list/2597>.

წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის ამსახველი პოსტერი, სასწავლო ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორებისგან. დასაქმებული იყო 2 სომხურენოვანი და 1 აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორი.

1.4.1.2 ცესკოს საინფორმაციო/სარეკლამო მასალების მისაწვდომობის უზრუნველყოფა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პირველი ტურისთვის, ცესკოს მიერ მომზადებული 13 ვიდეორგოლი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათ შორის მომზადდა ვიდეორგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. რგოლები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელსა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში. არჩევნების მეორე ტურისთვის² მომზადდა სამი ვიდეორგოლი, რომელიც ითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე³. ცესკომ ასევე მოამზადა ორივე ტურისთვის რადიო რგოლები. ნათარგმნი მასალა მიეწოდა და გავრცელდა ტელევიზიების (სომხურენოვანი: „ფარვანა ტვ“, „ატვ-12“, „ტოკ-ტვ“; აზერბაიჯანულენოვანი: „მარნეული ტვ“, „ბოლნელი“, „ტვ-4“) საშუალებით. მასალები ასევე განთავსდა რადიო ეთერში. (სომხურენოვანი რადიო: „ვრასტან-FM“, „ნორი“; აზერბაიჯანულენოვანი რადიო: „ბოლნელი“ „მარნეული“, „AG FM“).

1.4.1.3 შეხვედრების ორგანიზება მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განახორციელა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“.

კამპანიის ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს 39 აქცია სახელწოდებით „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“. აქციის ფარგლებში მოქალაქეებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (პლანშეტით და სწრაფი გადახდის აპარატით), ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების სერვისი შესთავაზეს. აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან გაიმართა 16 შეხვედრა, ხოლო სომხურენოვან ამომრჩევლებთან 18 შეხვედრა. ამასთან, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან გაიმართა 5 შეხვედრა. მათ შორის, ქისტებთან 2, ავარლებთან 2 და ზოშათა თემის წარმომადგენლებთან 1 შეხვედრა.

ასევე კამპანიის ფარგლებში, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო ფლაერები: „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“;

² პარლამენტის არჩევნების მეორე ტური ჩატარდა იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან დასახლებულნი;

³ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი ვიდეორგოლები იხილეთ ბმულზე: https://cesko.ge/geo/video_gallery/show/1629/913;

„კენჭისყრის დღის პროცედურები“; „ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდებს, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეუსრულდათ 18 წელი“.

1.4.1.4 საგრანტო კონკურსის ორგანიზება

ცესკოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) 2020 წლის 6 თებერვალსა და 13 ივლისს, გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი⁴. დაფინანსების ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. აღნიშნული მიმართულებით, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, დაფინანსდა 19 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, რომლებიც განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში⁵. დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 648 817.25 ლარი⁶.

2020 წლის 6 თებერვლის საგრანტო კონკურსისთვის დაფინანსების მიმართულებებად განისაზღვრა:

1. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა 6 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 380 495 ლარი;
2. ახალგაზრდა ამომრჩეველი საარჩევნო პროცესში. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა 3 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, რომლის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 88 870 ლარი.

2020 წლის 13 ივლისის საგრანტო კონკურსისთვის დაფინანსების მიმართულებად განისაზღვრა ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა 10 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, რომლის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 179 452.25 ლარი.

1.4.1.5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

„საარჩევნო განვითარების სკოლა“ 18-25 წლამდე ახალგაზრდებისთვის

2020 წელს ცესკომ, სწავლების ცენტრთან თანამშრომლობითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, განხორციელა პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“. 2020 წელს, სასწავლო კურსის პროგრამას სამი ახალი საკითხი დაემატა: ხმის მიცემის ელექტრონული საშუალებები, არჩევნები და კვლევები, დეზინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში⁷.

⁴ საგრანტო კონკურსების დაფინანსების მიმართულებები განისაზღვრა ცესკოს 2020 წლის 29 იანვრის №3/2020 განკარგულებისა და 3 ივლისის №41/2020 განკარგულების შესაბამისად.

⁵ პროექტების სამიზნე ჯგუფს ასევე წარმოადგენდნენ შშმ პირები, ქალები, ახალგაზრდები;

⁶ დეტალური ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ იხილეთ სწავლების ცენტრის ვებგვერდზე: <http://electionreforms.ge/geo/list/17>

⁷ სასწავლო კურსში მონაწილე 18-25 წლის ახალგაზრდები, გაეცნენ შემდეგ საკითხებს: სახელმწიფო ინსტიტუტების მოწყობა; უშუალო დემოკრატიის ფორმები; არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება; საერთაშორისო პრინციპები; ევროპის პარლამენტი; საერთაშორისო ორგანიზაციები: დაკვირვება და საარჩევნო დახმარება; არჩევნების ისტორია და სტატისტიკა საქართველოში; 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები; საარჩევნო სისტემები საქართველოში; საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია; არჩევნებში ჩართული მხარეები; გამჭვირვალობა და საჯაროობა; საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა; გენდერული

პროექტი განხორციელდა 2020 წლის 3-14 აგვისტოს პერიოდში, ქ. თბილისსა და 24 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 3 მუნიციპალიტეტში. 10 დღიანი სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 49 მონაწილემ, მათ შორის 33 (67.35%) ქალი და 16 (32.65%) – კაცი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

ოლქის N	ოლქის დასახელება	სერტიფიცირებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი
18	ახმეტა	19	14	5
21	გარდაბანი	0	0	0
22	მარნეული	14	6	8
37	ახალციხე	16	13	3
სულ		49	33 (67.35%)	16 (32.65%)

საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის

საინფორმაციო-სასწავლო პროექტის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელება საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული იყო 2020 წლის 19 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით პერიოდში. შეირჩა 64 მუნიციპალიტეტის 242 საჯარო სკოლა. აქედან ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 12 მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლა, თუმცა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომებიდან გამომდინარე, საჯარო სკოლებში პროექტი არ განხორციელდა.

საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, 2020 წლის 16 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში, 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში, განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები - საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“. აღნიშნული კურსი ითვალისწინებდა პროფილურ სწავლებას და მიზნად ისახავდა სამოქალაქო საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას და საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობას. მონაწილეები გაეცნენ კენჭისყრის დღის პროცედურებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

პროექტში წარმატებით ჩაერთო და სერტიფიკატი მიიღო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 1078-მა პირმა, აქედან 693 (64.29%) ქალი და 385 (35.71%) კაცი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

თანასწორობა; გენდერი და არჩევნები; ამომრჩეველთა რეგისტრაცია; წინასაარჩევნო პერიოდი; საარჩევნო უბნის გახსნა; საარჩევნო უბნის დახურვა (შეჯამება); საარჩევნო დავები; არჩევნების შეჯამება; საარჩევნო ციკლის მიმოხილვა.

ოლქის N	ოლქის დასახელება	სერტიფიცირებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი
11	საგარეჯო	108	92	16
18	ახმეტა	36	28	8
15	ლაგოდეხი	64	58	6
17	თელავი	95	88	7
21	გარდაბანი	93	77	16
22	მარნეული	161	38	123
23	ბოლნისი	59	20	39
24	დმანისი	93	45	48
25	წალკა	87	40	47
26	თეთრიწყარო	69	59	10
37	ახალციხე	81	72	9
40	ახალქალაქი	72	40	32
41	ნინოწმინდა	60	36	24
სულ		1078	693 (64.29%)	385 (35.71%)

სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში“ ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

სწავლების ცენტრმა, 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში განახორციელა სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. შემოდგომის სემესტრში (2019 წლის სექტემბერი - 2020 წლის იანვარი) სასწავლო კურსი გაიარა 23-მა სტუდენტმა, მათ შორის 14 (60.87%) ქალი და 9 (39.13%) კაცი. ხოლო გაზაფხულის სემესტრში (2020 წლის მარტი - ივნისი), კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში სწავლება განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში და კურსში მონაწილეობა მიიღო 11-მა სტუდენტმა, მათ შორის 9 (81.82%) ქალი და 2 (18.18%) კაცი.

შუალედური მიზანი: 1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა: 1.5.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1.5.1.1 არაქართულენოვანი გაზეთების გამოცემა (აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ სომხურენოვანი „ვრასტანი“)

გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა. წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3800-4000 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (56 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში. საზოგადოების ინფორმირებისა და პრევენციის ღონიძირების თემატიკაზე მომზადდა

არაქართულენოვანი გაზეთების - აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გამოშვებები (ტირაჟი 4500) და სპეციალური დამატებითი რედაქცია (ტირაჟი 6000), სადაც განთავსდა სრული ინფორმაცია კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე.

1.5.1.2 სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელებში რეგიონში მიმდინარე პროცესების გაშუქება

კახეთის მხარეში სახელმწიფო-რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ვებ-გვერდებზე, ასევე სოციალურ ქსელებში, რეგიონში მიმდინარე პროცესები ინტენსიურად შუქდებოდა.

1.5.1.3 საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით მედია გაშუქების ხელშეწყობა და შესაბამისი მედია პროდუქტების მომზადება

საანგარიშო პერიოდში სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან. რეგიონული მედიის მხარდაჭერის გზით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მომუშავე ხუთმა ადგილობრივმა პარტნიორმა მედია საშუალებამ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (TV მარნეული, FM მარნეული, FM NOR, ATV 12, TOK TV)), 2020 წლის განმავლობაში, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით 40 შინაარსობრივი პროდუქტი მოამზადა.

1.5.1.4 შრომისა და დასაქმების სფეროში (შრომითი უფლებები) განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მედია საშუალებებში ინფორმაციის განთავსება

2020 წლის განმავლობაში აქტივობა ვერ განხორციელდა, ვინაიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის № 01-73/ო ბრძანების თანახმად, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით 13 მარტიდან დროებით შეაჩერა სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში დანიშნული ყველა მასობრივი და საჯარო ღონისძიება.

1.5.1.5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმწიფო მაუწყებლობით

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო პენიტენციურ დაწესებულებებს ტექნიკურად შესაძლებელი ლიმიტის ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა ეთნოსის ბრალდებულ/მსჯავრდებულისათვის სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სპეციალური პენიტენციური სამსახური უზრუნველყოფს სატელევიზიურ მაუწყებლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი სატელევიზიო არხების ჩართვას.

პენიტენციურ დაწესებულებებში 22 სატელევიზიო არხის მაუწყებლობა ხორციელდება 6 ენაზე: რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური და არაბული.

1.5.1.6 „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის განხორციელება

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით გაიცა 581 ინტერნეტ ვაუჩერი ჯამური ღირებულებით 126 000 ლარი. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინტერნეტ ვაუჩერები გაიცა შემდეგნაირად:

- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 3 ვაჩერი;
- ❖ კახეთის რეგიონი - 3 ვაჩერი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 18 ვაჩერი

ჯამში გაიცა 24 ვაჩერი.

შუალედური მიზანი 1.6: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 1.6.1 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1.6.1.1 საინფორმაციო შეხვედრები „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის გაცნობის მიზნით

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ჩართულობით ჩატარებული შეხვედრების დროს, დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციისა და მისი შესრულების შესახებ.

შეხვედრებზე ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილებოდა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები; ჯამში წლის განმავლობაში გაიმართა ასეთი 10-მდე შეხვედრა.

1.6.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საქართველოს კანონმდებლობისა და "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის შესახებ საინფორმაციო ტრენინგებისა და შეხვედრების გამართვა / გაცნობა

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

ამოცანა: 1.6.2 საჯარო მოსამსახურეთა და ეთნიკურ უმცირესობათა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სფეროში

1.6.2.1 ტრენინგების ჩატარება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მათ შორის ეთნიკური ნიშნით, ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით. ტრენინგების ფარგლებში განიხილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ საკითხზე

ეუთოს ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო მასალების კომბინირების საფუძველზე, 2020 წლის იანვრიდან დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კასკადური გადამზადების პროცესი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და გამომიების თემაზე. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან ფსიქოლოგები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კასკადური ტრენინგების სერიის ფარგლებში, 2020 წელს, ჩატარდა 9 სასწავლო აქტივობა (მათ შორის, 5 დისტანციურად). ტრენინგების საფუძველზე. საერთო ჯამში გადამზადდა სამინისტროს სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოს 150-ზე მეტი თანამშრომელი.

- ❖ 2020 წლის ივლისსა და ნოემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში 2 ტრენინგი ჩატარდა დისკრიმინაციის აკრძალვის, სიძულვილის ენისა და კონკრეტული დისკრიმინაციული ნიშნების საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა გამომიების თემაზე, გადამზადდა 30-მდე გამომიებელი. სწავლება ეფუძნება ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებულ სასწავლო მასალებს, რომელთა საფუძველზეც 2019 წელს სამინისტროს თანამშრომლებისთვის ტრენინგითა ტრენინგი ჩატარდა. სწავლებამ მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: დისკრიმინაცია და მისი სახეები, სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები, შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორები, გამომიების სტანდარტები ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროების მიხედვით, ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ნიშნით.
- ❖ 2020 წლის მეორე ნახევარში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ ინიციატივითა და „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSF) ფინანსური მხარდაჭერით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამომიების თემაზე ჩატარდა 2 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 30 თანამშრომელი. ტრენინგმა მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნება და მასთან დაკავშირებული კონცეფციები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომიების ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებები, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოსაკვეთად გასათვალისწინებელი გარემოებები, გამომიებლის დაზარალებულთან/მოწმესთან ურთიერთობის სტანდარტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღწევები და გამოწვევები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია და სხვა.
- ❖ 2020 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომიების თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი გაიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 15-მა თანამშრომელმა.
- ❖ გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ HELP-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელებულ ონლაინ კურსში თემაზე „რასიზმის, ქსენოფობიის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლა“. ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობითა (UNDP) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ინიციატივით (WISG), „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და

დაზარალებულის კოორდინატორებს ჩაუტარდათ დისტანციური ტრენინგი. ტრენინგის თემატიკას წარმოადგენდა ძალადობა და დისკრიმინაცია სოგის საფუძველზე.

- ❖ 2020 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიერ სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთათვის ჩატარდა ონლაინ სწავლება გენდერული თანასწორობის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში ადამიანის უფლებების სწავლებისას ივარება, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელიც მოიცავს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, მათ შორის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის სწავლებას. ამასთანავე, დისკრიმინაციის აკრძალვის სწავლებისას განიხილება სხვადასხვა დაცული საფუძველი, როგორცაა: სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური კუთვნილება და სხვა.

აღნიშნული თემატიკით 2020 წლის წლის განმავლობაში მომზადდა/გადამზადდა:

- ❖ პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 158 მსმენელი;
- ❖ მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსი - 18 მსმენელი;
- ❖ მესაზღვრე-კონტროლიორთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი - 32 მსმენელი;
- ❖ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 53 მსმენელი;
- ❖ დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 19 მსმენელი;
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა - 53 მსმენელი;
- ❖ გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი - 36 მსმენელი.

2020 წლის ივლისის მონაცემებით ჩატარდა 6 ტრენინგი. გადამზადდა 111 სამართალდამცავი.

1.6.2.2 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში შსს-ს მიერ შეთავაზებული სერვისებს შესახებ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებს პანდემიის დროს. შეხვედრა ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ მხარდაჭერით. შეხვედრის ფარგლებში, სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ განხილულ იქნა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები და მასზე სამინისტროს რეაგირება. კერძოდ, რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს და რა სერვისებს სთავაზობს სამინისტრო მსგავს ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

1.6.2.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრის გამართვა, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

1.6.2.4 სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ

2019 წლის იანვრიდან სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა ესკორტის ოფიცრებისთვის ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, ინტეგრირებულია 5-7 სთ-იანი ტრენინგი „რა არის დისკრიმინაცია?“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს. 2020 წელს სპეციალური მომზადების კურსი გაიარა ესკორტის 21-მა ოფიცერმა (1 ჯგუფი). აღნიშნული კურსის ჩატარება დამატებით აღნიშნული ფოკუს ჯგუფისთვის შეუძლებელი გახდა გლობალური პანდემიის გამო.

1.6.2.5 ტრენინგების მომსახურების შესყიდვა/ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

დმანისის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა, დამტკიცდა ტრენინგ გეგმა, თუმცა აღნიშნული ღონისძიება ვერ შესრულდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

სტრატეგიული მიზანი 2

თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა).

გაიმართა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მათ შორის განათლების სიახლეების, ევროპული ინტეგრაციის პროცესიდან მომდინარე სარგებლის, კორონავირუსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

შუალედური მიზანი 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

ამოცანა: 2.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

2.1.1.1 საინფორმაციო კამპანიის წარმოება სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ

იხ. აქტივობა 1.3.3.3

2.1.1.2 ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ახმეტა, ლაგოდეხი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და საქართველოს მუნიციპალური ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 37 პროექტი საერთო ღირებულებით 16 122 600 ლარი..

2.1.1.3 ქალი მეწარმეების თანადაფინანსება მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში

სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გამოცხადდა 2020 წლის 5 ოქტომბერს, რომლის ფარგლებშიც სულ შემოვიდა 26307 განაცხადი. პროგრამის ფარგლებში, შემდგომ ეტაპზე გადავიდა 4103 განმცხადებელი. ტრენინგების ეტაპზე, გადასული 4103 ბენეფიციარიდან 2056 (50.1%) არის ქალი ბენეფიციარი. ამ დროისთვის, ჯერ არ გამოვლენილა გამარჯვებული ბენეფიციარები, შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის განხორციელება 2020 წლის მდგომარეობით არ დასრულებულა.

2.1.1.4 გზების რეაბილიტაცია (კახეთის რეგიონი) საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (კახეთის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დაფინანსდა გზის რეაბილიტაციის 28 პროექტი ახმეტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში; საერთო ღირებულება - 9 173 187 ლარი. აქედან, რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა - 8 631 111 ლარი;
- ❖ დასრულდა 23 პროექტი, საერთო ღირებულება 8 316 525ლ. აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში 7 802 277ლარი;

დაიგო 31 534 გრძივი მეტრის გზა, რომლითაც ისარგებლებს 110 000 - მდე ბენეფიციარი.

მიმდინარეობს 5 გზის პროექტის რეაბილიტაცია; საერთო ღირებულება - 856 662 ლარი. აქედან, რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 828 834 ლარი; პროექტის დასრულებისას რეაბილიტირებული იქნება 5 305 გრძივი მეტრის გზა, რომლითაც ისარგებლებს 20 260 ბენეფიციარი

- ❖ ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის 1 პროექტი; ღირებულებით 760 067 ლარი. აქედან, რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 722 064 ლარით; საბავშვო ბაღის 81 ბენეფიციარი;
- ❖ დასრულდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის 2 პროექტი ქ. ლაგოდეხში და სოფელ ზემო ხოდაშენში (ახმეტის მუნიციპალიტეტი); საერთო ღირებულებით 908 942 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 863 494 ლარი. ისარგებლებს 150 ბენეფიციარი;
- ❖ საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის 3 პროექტი ქ. დმანისში და სოფელ განთიადში (ქვემო ქართლი); ღირებულებით 1 770 057 ლარი (რგფ- 1 513 495 ლარი); ისარგებლებს 200 ბენეფიციარი;

- ❖ მიმდინარეობს საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის 3 პროექტი ახალციხეში და ახალქალაქში (სოფლები: წყრუთი, სხვილისი და გოგაშენი); ღირებულებით 638 000 ლარი (რგფ-ის ფარგლებში 600 053 ლარი); ისარგებლებს 3 600 ბენეფიციარს;

2.1.1.5 გზების რეაბილიტაცია (ქვემო ქართლის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ქვემო-ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა) მიმდინარეობს და განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ❖ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა გზის რეაბილიტაციის 58 პროექტი; საერთო ღირებულება - 34 511 639 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა- 30 458 601 ლარი;
- ❖ დასრულდა 35 პროექტი, საერთო ღირებულება 20 835 219 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 18 074 708 ლარი; დაიგო 66 047 გრძივი მეტრის გზა, რომლითაც ისარგებლებს 62 800 ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს 23 გზის პროექტის რეაბილიტაცია; საერთო ღირებულება 13 676 420 ლარი აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 12 383 893 ლარი; რეაბილიტირებული იქნება 33 682 გრძივი მეტრი; რომლითაც ისარგებლებს 32 131 ბენეფიციარი.
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა გზის რეაბილიტაციის 2 პროექტი დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებში, (5 752 გრძივი მეტრი) საერთო ღირებულება 1 076 855 ლარი, მათ შორის მთის ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 1 023 012 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 2 232 ბენეფიციარი.

2.1.1.6 სკვერის რეაბილიტაცია (ქვემო ქართლის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით, დასრულდა სკვერის რეაბილიტაციის პროექტი რუსთავში, საერთო ღირებულებით 1 775 831 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 1 687 038 ლარი რომლითაც ისარგებლებს 62 354 ბენეფიციარი.

გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტისა, დამატებით დაფინანსდა და მიმდინარეობს სკვერის რეაბილიტაციის 2 პროექტი ქ. რუსთავში; საერთო ღირებულებით 200 000 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 190 000 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 24 000 ბენეფიციარი.

2.1.1.7 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (ქვემო ქართლის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დასრულებულია სანიაღვრე არხის 1 პროექტი (940 გრძივი მეტრი) რუსთავში, საერთო ღირებულება - 461 663 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 438 580 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 5500 ბენეფიციარი.

- ❖ მიმდინარეობს სანიაღვრე არხის 1 პროექტი (910 გრძივი მეტრი) დმანისის მუნიციპალიტეტში, საერთო ღირებულება 161 770 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 153 682 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 150-მდე ბენეფიციარი, ასევე სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლნისშიც.

2.1.1.8 შენობების ფასადების რეაბილიტაცია (ქვემო ქართლის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დასრულდა ქ. რუსთავში ავტობუსების სადგომისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობის პროექტი. საერთო ღირებულება -1 138 825 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა -1 051 246 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 120 000 -მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ცენტრის შენობა-ნაგებობისა და ქ. რუსთავში მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია; 2 პროექტის საერთო ღირებულება 400 061 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 380 058 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 5 900-მდე ბენეფიციარი.
- ❖ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისში, სავანეთსა და დარბაზში მიმდინარეობს ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია.

2.1.1.9 წყლის რეაბილიტაციის პროექტი (ქვემო ქართლის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დასრულდა წყალმომარაგების 1 პროექტი (9 287 გრძივი მეტრი) მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ალგეთი, თაზაქენდი, აზიზქენდი, გაჯისაქენდი, ქუთლიარი, ამბაროვკა, ქეშალო) საერთო ღირებულება 2 677 409 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 2 543 537 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 4000-მდე ბენეფიციარი.
- ❖ დასრულდა წყალმომარაგების 2 პროექტი (4735 გრძივი მეტრი) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ცოდნისკარი, არეშფერანი), საერთო ღირებულება 477 778 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 443 412 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 400-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს წყალმომარაგების 3 პროექტი (17 500 გრძივი მეტრი და 2 ჭაბურღილი) დმანისსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, საერთო ღირებულება 2 663 879 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 2 476 798 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 1 950-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს წყალმომარაგების 2 პროექტი (4 109 გრძივი მეტრი) წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ბარეთი, ლივადი, იმერი, საბეჭისი), საერთო ღირებულება 210 526 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა -200 000 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 3 334-მდე ბენეფიციარი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერში მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის გაფართოების სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფლებში: აკაურთა, გეტა, სამწვერისი, ფოლადაური, დარბაზი, ტალავერი.

2.1.1.10 გზების რეაბილიტაცია (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ❖ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა გზის რეაბილიტაციის 53 პროექტი (დაიგო 78 527 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 31 400 045 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა -29 420 906 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 50 000-მდე ბენეფიციარი.
- ❖ დასრულდა 48 პროექტი (დაიგო 69 979 გრძივი მეტრი გზა), საერთო ღირებულება 28 164 218 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა- 26 358 453 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 39 500-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს 5 გზის რეაბილიტაციის პროექტი (8 548 გრძივი მეტრი) საერთო ღირებულება 3 235 827 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 3 062 453 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 10 500-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდით დაფინანსდა გზის რეაბილიტაციის 4 პროექტი (ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა), (5 440 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 1 475 532 ლარი, აქედან მთის ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 1 391 548 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 12 000-მდე ბენეფიციარი.

2.1.1.11 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით მიმდინარეობს სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია ახალციხის მუნიციპალიტეტში - 1 პროექტი (107 გრძივი მეტრი) საერთო ღირებულება 428 403 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 406 982 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 17 500-მდე ბენეფიციარი.

2.1.1.12 წყლის რეაბილიტაციის პროექტი (სამცხე-ჯავახეთი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ❖ დასრულდა წყალმომარაგების 1 პროექტი (ასპინძა, 1 100 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 503 805 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 464 409 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 3 სოფელი (ხიზაბავრა, სარო, ვარგავი), 800-მდე ბენეფიციარი;
- ❖ დასრულდა წყალმომარაგების 2 პროექტი (მოეწყო 11 700 გრძივი მეტრი წყალსადენი და ერთი რეზერვუარი), ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების სოფლებში (ხორენია, პატარა წირა), საერთო ღირებულება- 1 036 407 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა - 530 094 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 760-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს წყალმომარაგების 4 პროექტი (27 300 გრძივი მეტრი), ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში (წნისი, თისელი, მუგარეთი, ანი), საერთო ღირებულება 649 903

ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 617 907 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 3 920-მდე ბენეფიციარი.

- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდით დაფინანსდა და დასრულდა წყალმომარაგების 1 პროექტი (12 500 გრძივი მეტრი) ქ. ახალქალაქის სოფელ ვარევანში, საერთო ღირებულება 654 321 ლარი, აქედან მთის ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 475 351 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 750-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს წყალმომარაგების 1 პროექტი (31 144 გრძივი მეტრი) ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ჭვინთა, ელიაწმინდა, წყრუთი და კლდე), საერთო ღირებულება 570 247 ლარი, აქედან მთის ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 500 000 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 3 000 -მდე ბენეფიციარი.

2.1.1.13 შენობების ფასადების რეაბილიტაცია (სამცხე-ჯავახეთი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დასრულდა მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციის 1 პროექტი (რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 შენობას) ქ. ახალციხეში, საერთო ღირებულება 1 001 105 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა - 951 108 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 150 000-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციის 2 პროექტი ბორჯომში; საერთო ღირებულება 384 315 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 365 099 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 1000-მდე ბენეფიციარი.

2.1.1.14 კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად:

- ❖ დასრულდა კულტურის სახლის რეაბილიტაციის 2 პროექტი ბორჯომში (რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 შენობას), საერთო ღირებულება 925 326 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 853 128 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 380-მდე ბენეფიციარი.
- ❖ დასრულდა კულტურის სახლის რეაბილიტაციის 1 პროექტი ახმეტაში (სოფელი ომალო), რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 შენობას, საერთო ღირებულება 182 999 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 173 849 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 250-მდე ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს მატნის კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი, (1 შენობა) საერთო ღირებულება 324 767 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.

2.1.1.15 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრ „მეგობრობის სახლში“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და 2020-2021წწ. სამოქმედო გეგმის გაცნობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

2.1.1.16 ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში სახელოვნებო შემოქმედებითი პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

დმანისის მუნიციპალიტეტში სახელოვნებო/საგანმანათლებლო პროგრამები ნაწილობრივ განხორციელდა:

- ❖ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის 2020 წლის ბიუჯეტი - 363 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი, ასევე საკუთარი შემოსავლები
- ❖ ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - 104 800 ლარი - ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტი(სუბსიდირება), მათ შორის საკუთარი შემოსავალი;
- ❖ ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი - 81 000 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტი
- ❖ ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური - 637200 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტი
- ❖ ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური - 100 000 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტი

2.1.1.17 ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა

ქ. რუსთავის მერიის მიერ აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა

2.1.1.18 დაბა ადიგენის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, დასრულდა დაბა ადიგენის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოეწყო 20 კილომეტრამდე წყალსადენის ქსელი, 258 ცალი აღრიცხვის კვანძი, 700მმ-იანი რეზერვუარი და წყლის გამწმენდი ნაგებობა. პროექტის საერთო ღირებულება 2 362 982,92 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 800-მდე ბენეფიციარი.

2.1.1.19 ვალეს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები (სამცხე-ჯავახეთი)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, მიმდინარეობს ვალეს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ამ ეტაპისთვის მოწყობილია: 50 კილომეტრამდე წყალმომარაგების ქსელი, 800 ცალი აღრიცხვის კვანძი, 8 ერთეული ჭაბურღილი და დასრულების ფაზაშია 2 ცალი 500მმ- იანი რეზერვუარის მშენებლობა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5 361 945,17 ლარს, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 26 თებერვალი. ბენეფიციართა რაოდენობა 3700.

2.1.1.20 ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში 31 ბენეფიციარისათვის წყალსადენისა და წყალარინების გარე ქსელების მოწყობის სამუშაოები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, დასრულდა ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში 31 ბენეფიციარისთვის წყალსადენის და წყალარინების გარე ქსელების მოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოეწყო პოლიეთილენის მაგისტრალური მილი 3120 გრძ.მ, პოლიეთილენის გამანაწილებელი ქსელი 220 მეტრი, 31 ცალი აღრიცხვის კვანძი, კანალიზაციის გოფირებული მილი 2500 მეტრამდე და 80 ცალი კანალიზაციის ანაკრები რკინაბეტონის ჭა. სამშენებლო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2020 წლის 17 სექტემბერს, პროექტის მთლიანმა ღირებულებამ ინსპექტირების ორგანოს დასკვნის მიხედვით შეადგინა 729 324,94 ლარი.

2.1.1.21 ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში სკოლის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. სკოლა მოემსახურება 160 მოსწავლეს. პროექტირება - 39 985 ლარი, მშენებლობა - 1 644 404,50 ლარი.

2.1.1.22 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუნჩხას ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება და მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, დასრულდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების გაფორმებისთვის საჭირო პროცედურები. სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 1 883 752 ლარი.

2.1.1.23 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ს სოფელ ორლოვკის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლის პროექტირება დასრულდა, აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. დასრულდება 2021 წელს. სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 1 882 100 ლარი.

2.1.1.24 ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით ლაგოდეხის საბავშვო ბაღის პროექტირება/მშენებლობა. (კახეთი)მუნიციპალიტეტში, სოფ. თელაში სოფ. ბაისუბანში და სოფ. კართუბანში 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის პროექტირება/მშენებლობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფ. თელაში, სოფ. ბაისუბანში და სოფ. კართუბანში მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა. დასრულდება 2021 წელს. პროექტირება-მშენებლობა - 2 286 840 ლარი

2.1.1.25 მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფში 150 ბავშვიანი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფის საჯარო სკოლის პროექტირება დასრულდა, აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. სკოლა გათვლილია 150 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 2 395 943 ლარი. დასრულდება 2021 წელს.

2.1.1.26 კ. წალკის 90 მოსწავლეზე გათვლილი №1 საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის (კობტას დაწყებითი სკოლა) პროექტირება დასრულდა, აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 1 782 350 ლარი. დასრულდება 2021 წელს.

2.1.1.27 სოფელ ქვემო ბოლნისში 60 ბავშვიანი №1 საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (ზვარეთის საბაზო)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლის (ზვარეთის საბაზო) სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. სკოლა გათვლილია 60 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 1 087 487 ლარი.

2.1.1.28 ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფ. დუისის (შერწყმული წინუბნის) ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება და მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლის (შერწყმული წინუბნის საჯარო სკოლა) პროექტირება დასრულდა, დასრულებისკენ მიდის სამშენებლო სამუშაოები. სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 2 008 000 ლარი.

2.1.1.29 მარნეულის მუნიციპალიტეტი ს სოფელ ჩანახჩის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარტნიორობით აქტივობის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანახჩის საჯარო სკოლის პროექტირება დასრულდა, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. დასრულდება 2021 წელს. სკოლა გათვლილია 60 მოსწავლეზე. პროექტირება-მშენებლობა - 1 160 000 ლარი.

ინფორმაცია დამატებით დაფინანსებულ პროექტებზე

გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა, დამატებით

- ❖ დასრულდა გარე განათების 1 პროექტი (15 000 გრძივი მეტრი) ნინოწმინდაში, საერთო ღირებულება 154 547 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა - 90 605 ლარი; რომლითაც ისარგებლებს 20 000-მდე ბენეფიციარი.

- ❖ მიმდინარეობს ხიდის მოწყობის 1 პროექტის განხორციელება ასპინძაში (70 გრძივი მეტრი) საერთო ღირებულება 77 604 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა- 73 724 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 70 000 -მდე ბენეფიციარი. ასევე მიმდინარეობს გარე განათების 1 პროექტის განხორციელება ახალციხეში (14 415 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 295 337 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 261 523 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 54 600-მდე ბენეფიციარი.
- ❖ დაფინანსდა ნაპირსამაგრის მოწყობის 5 პროექტი ასპინძასა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში (385 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 513 188 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 487 527 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 2 781 ბენეფიციარი.
- ❖ დასრულდა 3 პროექტი ასპინძის მუნიციპალიტეტში (მოწყობა 168 გრძივი მეტრი ნაპირსამაგრი), საერთო ღირებულებით 208 668 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 198 233 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 1 031 ბენეფიციარი.
- ❖ მიმდინარეობს ნაპირსამაგრის მოწყობის 2 პროექტი ასპინძასა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში (217 გრძივი მეტრი), საერთო ღირებულება 304 520 ლარი, აქედან რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში დაფინანსებამ შეადგინა 289 294 ლარი, რომლითაც ისარგებლებს 1 750 ბენეფიციარი.

დამატებითი ღონისძიებები:

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია კოორდინაციას უწევს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ერთეულებში. მიმდინარე წელსაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო, ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების, კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია. ამასთანავე განხორციელდა 17 ამბულატორიის რეაბილიტაცია/ მშენებლობა, 41 სკოლის რეაბილიტაცია, აშენდა შესაბამისი სტანდარტების გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული პროექტებიდან მნიშვნელოვანია ახალციხის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ წყრუთსა და სოფელ სხვილისში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელიც წელს დაიწყო და დასრულდება 2021 წელს.

სულ მიმდინარე წელს ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა 340 პროექტი 29 061 462 ლარის ღირებულებით. მათ შორის:

- ❖ ასპინძის მუნიციპალიტეტი -1 პროექტი - ღირებულება 332 000 ლარი;
- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტი - 103 პროექტი -ღირებულება 9 161 070 ლარი;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - 149 პროექტი - ღირებულება 12 507 243 ლარი;
- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - 87 პროექტი - ღირებულება 7 307 649 ლარი;
- ❖ ბორჯომის მუნიციპალიტეტი - 4 პროექტი - ღირებულება 1 242 315 ლარი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები/პროგრამები „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაიცა:

- ❖ კახეთის რეგიონი - 1,718 სესხი; სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 19,102,495 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 840 სესხი; სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 2,832,772 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 503 სესხი; სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 5,924,246 ლარი.

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამის - "ახალგაზრდა მეწარმე" ფარგლებში გაფორმდა (დამტკიცებული/დაფინანსებული პროექტები):

- ❖ კახეთის რეგიონი - 19 ხელშეკრულება, თანადაფინანსებამ შეადგინა 740,506 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 6 ხელშეკრულება, თანადაფინანსებამ შეადგინა 333,967 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში დამტკიცებულია:

- ❖ კახეთის რეგიონში, ბაღების კომპონენტის ფარგლებში - 40 განაცხადი (ფართობი - 241.14 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 1,458,843 ლარი; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში - 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 197,050 ლარი; წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში - 2 განაცხადი (ფართობი - 2.10 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 4,814 ლარი; ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში - 6 განაცხადი (ფართობი - 11.71 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 82,396 ლარი; მრავალწლიანი კულტურ(ებ)ის ბაღში, პლანტაციაში, ვენახში დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში - 2 განაცხადი (ფართობი - 54.80 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 277,736 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ბაღების კომპონენტის ფარგლებში - 1 განაცხადი (ფართობი - 0.50 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 5,000 ლარი; კენკროვანი კულტურების 100%-იანი დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში - 15 განაცხადი (ფართობი - 5.09 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 127,986 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონში, ბაღების კომპონენტის ფარგლებში - 62 განაცხადი (ფართობი - 686.52 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 4,009,521 ლარი; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში - 7 განაცხადი (ფართობი - 35.50 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 191,425 ლარი; ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში - 1 განაცხადი (ფართობი - 12.00 ჰა), სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 15,000 ლარი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის" ფარგლებში დამტკიცებულია:

- ❖ კახეთის რეგიონი - 2 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 912,593 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 2 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 1,200,000 ლარი.

აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა:

- ❖ კახეთის რეგიონი - 114 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება - 2,937,123 ლარი;

- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 5 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება - 78,675 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 23 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება - 785,327 ლარი.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია:

- ❖ კახეთის რეგიონი - 6,098 პოლისი, დაზღვეულია 6,640 ჰა მიწის ფართობი, სახელმწიფომ დააფინანსა -2,469,031 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 722 პოლისი, დაზღვეულია 731 ჰა მიწის ფართობი, სახელმწიფომ დააფინანსა -416,870 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 689 პოლისი, დაზღვეულია 3,272 ჰა მიწის ფართობი, სახელმწიფომ დააფინანსა - 450,014 ლარი.

„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა:

- ❖ კახეთის რეგიონი - 15 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება 220,371 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება 2,733 ლარი.

კოოპერატივების მხარდაჭერის მიზნით დამტკიცდა:

- ❖ კახეთის რეგიონი - მევენახეობის მიმართულებით 11 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება- 5,490,602 ლარი; მეფუტკრეობის მიმართულებით - 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება-12,600 ლარი; მერძევეობის მიმართულებით - 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება-150,000 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - მერძევეობის მიმართულებით 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება -150,000 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - მერძევეობის მიმართულებით 1 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება-142,500 ლარი.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის (DIMMA) ფარგლებში დამტკიცდა:

- ❖ კახეთის რეგიონი - 15 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება 1,928,032 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 55 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება-1,424,194 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონში - 4 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება -689,450 ლარი.

სოფლის განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში დამტკიცდა:

- ❖ კახეთის რეგიონი - 2 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება -333,528 ლარი;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 2 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება-შეადგინა 276,080 ლარი;
- ❖ ქვემო ქართლის რეგიონი - 2 განაცხადი, სახელმწიფო თანადაფინანსება- 200,000 ლარი.

ამოცანა: 2.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

2.1.2.1 სოციალური პროგრამით სარგებლობა

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სოციალური პროგრამებით სარგებლობა გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებით:

პანკისის ხეობა:სამედიცინო მომსახურების დაფინანსება - 103 ბენეფიციარს (თანხა - 37 818 ლარი) აუნაზღაურდა დიალიზის ტრანსპორტირების ხარჯები, მოხდა დენისა და გაზის თანადაფინანსება. ასევე სოციალური დახმარებები გაეწიათ დედოფლისწყაროს, ყვარელსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ოჯახებს. ხოლო სოციალური პროგრამებით აქტიურად სარგებლობდნენ თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობა.

დამატებითი ღონისძიება:

ბოლნისის მერიის მიერ კოვიდ-19 პანდემიის დროს სასურსათო პაკეტით დახმარება გაეწია 14668 ოჯახს აქედან 70% ანუ 10 796 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, უზრუნველყოფილი იქნა 83 ოჯახის ჩვილ ბავშვთა კვება, მედიკამენტებით დახმარება გაეწია 230 ბენეფიციარს, 22 პაციენტს დაუფინანსდა მკურნალობა, ხოლო 25 პაციენტის დიაგნოსტიკა დაფინანსდა.

2.1.2.2 სოციალურად დაუცველი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახების დახმარება

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე - პანდემია COVID-19 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 682 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბენეფიციარისათვის სასურსათე სანოვაგის გადაცემა.

2.1.2.3 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება, ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებისა და სერვისების გაცნობის მიზნით

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

2.1.2.4 სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და კახეთის რეგიონის - ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების მერებთან კოორდინაციით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები: სოფ. კაბალში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი) და სოფ. ახალსოფელში (ყვარლის მუნიციპალიტეტი).

2.1.2.5 დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოციალური უზრუნველყოფის 2020 წლის პროგრამის განხორციელება (ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარებები, ჯილდოები და სტიპენდიები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში პროფესიული განვითარების განათლების ხელშეწყობისა და ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის 2020 წლის პროგრამის განხორციელება

2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში ფულადი და სოციალური დახმარებები იხ.

<http://dmanisi.gov.ge/sasargeblo-informacia/socialuri-programebi>

წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი აქტივობა არ განხორციელდა.

სტრატეგიული მიზანი 3

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე. შესაბამისად, წლის განმავლობაში პრიორიტეტული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

ამ მიმართულებით მიმდინარე პოლიტიკას, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობის კუთხით კომპლექსური ხასიათი აქვს. წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბენეფიციართა სეგმენტი. ქართული ენის სასწავლო პროგრამები და კურსები უკვე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, მათ შორის: სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რელიგიური პირებისთვის, მსჯავრდებულთათვის და სხვა.

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს 100-მდე არაქართულენოვანი საბავშვო ბაღი და 300-მდე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და სექტორი. წარმატებით მიმდინარეობს გამარტივებული პროგრამა უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების მისაღებად.

გლობალური პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ, ზოგადი განათლების საფეხურზე სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურ რეჟიმში. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დაინერგა და ამოქმედდა პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის თავდაპირველად ქართული ენის ტელეგაკვეთილების ჩატარებას ითვალისწინებდა, ხოლო შემდგომ ეტაპზე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სხვადასხვა საგნის გაკვეთილებიც დაემატა. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის უკვე შეთავაზებულია ტელეგაკვეთილები ზოგად უნარებში.

შუალედური მიზანი: 3.1 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

ამოცანა: 3.1.1 სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოძიების შექმნა, აღმზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება

3.1.1.1 წალკისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში წალკის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში გაიხსნა საბავშვო ბაღი. ესენია:

1. სოფ. ავრანლო -1 ჯგუფი, 26 ბავშვი, 1 აღმზრდელი და 1 ძიძა;
2. სოფ. არწივანი -2 ჯგუფი, 47 ბავშვი, 2 აღმზრდელი და 2 ძიძა;
3. სოფ. კიზილ-კილისა-1 ჯგუფი, 25 ბავშვი, 1 აღმზრდელი და 1 ძიძა;
4. სოფ. კოხტა -1 ჯგუფი, 22 ბავშვი, 1 აღმზრდელი და 1 ძიძა.

დამატებითი ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია:

- ❖ ქ. მარნეულის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ❖ სოფ. შაუმიანის (ძველი) საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ❖ სოფ. კაპანახჩის საბავშვო ბაგა-ბაღში.

3.1.1.2 პროფესიული განათლების კურსების განხორციელება

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი აქტივობა ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

დამატებითი ღონისძიებები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიერ განხორციელებული აქტივობები:

ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებისთვის, პროგრამა „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში დამტკიცდა ქვეპროგრამა "ბილინგვური განათლების ხელშეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში", რომელიც ითვალისწინებს :

- ❖ სახელმწიფო ენისა და მშობლიური ენის წიგნიერების დონის ამაღლებას, კომპაქტური განსახლების რეგიონების სკოლამდელ და სასკოლო საფეხურის დაწესებულებებში, ბილინგვური განათლების დანერგვა-განვითარების გზით და შესაბამისი რესურსების შექმნას;
- ❖ მექანიზმების შექმნას არსებული კადრების მომზადებისა და ახალი კადრების მოსაზიდად.

პროგრამის ფარგლებში 2020 წელს:

- შეირჩა 4 საპილოტე სკოლა და 4 სკოლამდელი განათლების დაწესებულება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში;
- შეიქმნა რესურსების ჯგუფი, რომელიც მუშაობს ორივე საფეხურის საპილოტე რესურსების შექმნაზე: სასკოლო ქართულენოვანი ბილინგვური პროგრამა და სკოლამდელი საფეხურის მშობლიურენოვანი და ქართულენოვანი საპილოტე პროგრამა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახლთან თანამშრომლობით, საპილოტე სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები დაკომპლექტდა შესაბამისი ორენოვანი კადრით;
- UNICEF-ის მხარდაჭერით, მიმდინარეობს მშობლიურენოვანი რესურსების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნა;

- განხორციელდა საპილოტე სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში საინფორმაციო-გაცნობითი ვიზიტები;
- განხორციელდა ტრენინგები და სამუშაო ჯგუფის შეხვედრები სასკოლო ბილინგვური განათლების პროგრამების მომზადების და დაწყებით საფეხურზე პილოტირების, ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნისა და სკოლის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ქოუჩინგის მექანიზმების შესაქმნელად ბილინგვური საგანმანათლებლო პროცესისა და მრავალენოვანი გარემოს ეფექტიანი მართვის, განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნისა და ლიდერობის კულტურის დამკვიდრების ხელშესაწყობად.

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება :

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის შეთავაზებულია სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი. მიმდინარე წელს კურსი დაასრულა 449 მსმენელმა, მათ შორის : (ა1 დონე- 109; ა2 დონე-207; ა2+ დონე - 46; ბ1 დონე - 133).

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ტრენინგ-მოდული გრამატიკის სისტემური კურსი. აღნიშნული ტრენინგმოდული მოდიფიცირდა პანდემიის გამო და მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. მოდული ჩაუტარდა არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი ქართულის, როგორც მეორე ენის 225 მასწავლებლებს.

შუალედური მიზანი: 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

ამოცანა: 3.2.1 ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

3.2.1.1 ეთნიკურად ქართველი და არაქართულენოვანი ბავშვების ინტეგრირებული სწავლება

აქტივობა დმანისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ნაწილობრივ განხორციელდა, რადგანაც სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურად გარკვეული შეზღუდული პერიოდის განმავლობაში.

3.2.1.2 დმანისის N1 საბავშვო ბაღში სახელმწიფო ენის შემსწავლელი ხელშემწყობი პროექტის განხორციელება სპეციალური პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ყოველდღიურ დამატებით სწავლებას

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტის N1 საბავშვო ბაღში ყოველდღიური დამატებითი სწავლების განხორციელება ვერ მოხერხდა.

3.2.1.3 ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ჩატარება სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე

არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საგანში „ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის“

- 2019-2020 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში - საგანში ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის - მონაწილეობა მიიღო 261 მოსწავლემ.
- ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნებისათვის (COVID 19) მესამე ტური არ ჩატარებულა;
- 2020-2021 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური გაიმართა ონლაინ, 2020 წლის 16 ნოემბრიდან და საგანში - ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის“ მონაწილეობა მიიღო 784 მოსწავლემ, აქედან მეორე ტურში გადავიდა 395 მოსწავლე.

დამატებითი ღონისძიებები:

- 2020-2021 სასწავლო წლისთვის ჯანდაცვის რეგულაციების საპასუხოდ არაქართულენოვანი სკოლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაიბეჭდა და სკოლებს გადაეცა საინფორმაციო პოსტერები კოვიდ-19 პრევენციისთვის.
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის ითარგმნა I-VII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები.

2020 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში დაიწყო 7 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა: სოფელ ხულდარაში, შულავერში, ჯანდარში, ცოფში, კასუმლოში, ჩანახჩსა და ქუთლიარში.

- ასევე, ტენდერი გამოცხადდა სოფელ საბირკენდში სკოლის შენობის მშენებლობისთვის, რომელიც 2 წლის განმავლობაში უნდა აშენდეს.

ამოცანა: 3.2.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

3.2.2.1 გამოცდის/ტესტირების უზრუნველყოფა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

2020 წელს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა მხოლოდ საგნის გამოცდა მასწავლებლობის მსურველებისათვის. კერძოდ:

- აზერბაიჯანული - 11 აპლიკანტი;
- რუსული - 26 აპლიკანტი;
- სომხური - 34 აპლიკანტი;

სულ - 71 აპლიკანტი.

შუალედური მიზანი: 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა: 3.3.1 საშეღავათო პოლიტიკის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა

3.3.1.1 პროექტის 1+4: სტაჟირების პროგრამის, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თანატოლ-განმანათლებელთა გადამზადება (TOT ტრენინგის ჩატარება)

პროექტის "ეთნიკურ უმცირესობათა შორის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა" ფარგლებში სპეციალური მომზადება გაიარა 50-მდე ახალგაზრდამ. ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეები ხვდებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და მოწვეულ ექსპერტებს, იღრმავებდნენ ცოდნას საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეების შესახებ და ამავდროულად, მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა დახვეწონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პროექტის შემდგომ ეტაპზე ახალგაზრდა თანატოლგანმანათლებლები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, თემის ლიდერებთან. 2020 წელს ზემოხსენებული პროექტების ფარგლებში ტრენინგები ონლაინ რეჟიმში წარიმართა.

3.3.1.2 პროექტის „1+4 სტაჟირების პროგრამის, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“ - განხორციელება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით გაგრძელდა პროექტის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“, განხორციელება. პროექტის ფარგლებში თანატოლგანმანათლებელთა მიერ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში ჩატარდა შეხვედრები. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. 2020 წელს ჩატარდა 41 შეხვედრა 8 მუნიციპალიტეტის 47 სოფელში 517 ბენეფიციარის ჩართულობით.

3.3.1.3 1+4 პროგრამის“ განხორციელება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია ჩართულია „1+4 პროგრამის“ განხორციელების პროცესში. კერძოდ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წლისათვის ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 11-ს.

3.3.1.4 საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ქართულ ენაში მომზადების (1+4) პროგრამის შესახებ, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

3.3.1.5 ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტირების უზრუნველყოფა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდის, ან ოსური ან აფხაზური ენის გამოცდის ჩატარების უზრუნველყოფა

სტატისტიკური ინფორმაცია 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული აბიტურიენტების შესახებ:

- ზოგადი უნარები აზერბაიჯანულ ენაზე – 1946;
- ზოგადი უნარები სომხურ ენაზე – 432;
- ზოგადი უნარები რუსულ ენაზე – 25;
- ოსური ენის ტესტი - 5

სულ - 2408 აბიტურიენტი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა:

- ზოგადი უნარები აზერბაიჯანულ ენაზე – 935;
- ზოგადი უნარები სომხურ ენაზე – 252;
- ოსური ენის ტესტი - 4;

ზოგადი უნარები რუსულ ენაზე - სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 8 აპლიკანტმა

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მოიპოვა 196-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე – 99 აბიტურიენტი;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 93 აბიტურიენტი;
- ❖ მშობლიური ენის - ოსური ენის ტესტის საფუძველზე - 4 აბიტურიენტი.

3.3.1.6 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათთვის გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ღია კარის დღეების ორგანიზება)

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში ქვემო ქართლის რეგიონის, 6 მუნიციპალიტეტში ჩაატარა ღია კარის დღეები. ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 500 აბიტურიენტს.

- გამოქვეყნდა რეგისტრაციის ვიდეონსტრუქცია სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სუბტიტრებით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ღია კარის დღეები ჩატარდა ონლაინ Microsoft Teams-ის პროგრამის დახმარებით. ღია კარის დღეები აბიტურიენტთა ინფორმირებულობის მიზნით ეტაპობრივად იმართებოდა სხადასხვა რეგიონების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეები ონლაინ ღია კარის დღეებზე დასასწრებად რეგიონების მიხედვით ნაწილდებოდნენ.

დამატებითი ღონისძიება:

ვებ-სკოლის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ვებინარები აბიტურიენტებისთვის. ჯამში, 400-მდე ვებინარი იქნა განთავსებული პლატფორმაზე EL.GE. ვებინარები ჩატარდა წამყვანი მასწავლებლების მიერ ძირითად საგნებში. ამასთანავე სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის ვებინარები ჩატარდა იმ საგანში, რომელსაც ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ. ყველა ჩატარებული ვებინარი, ტელეგადაცემა, თუ შექმნილი რესურსი განთავსებულია ვებ-გვერდებზე და არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

შუალედური მიზანი: 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

ამოცანა: 3.4.1 პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

3.4.1.1 ეთნიკური უმცირესობების ზრდასრული წარმომადგენლებისათვის ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით, ქართული ენის შემსწავლელი კურსების შექმნა

ქ. თბილისის მერიის საკრებულოსთან არსებულ „თბილისის მეგობრობის სახლში“ ქართული ენის შემსწავლელი კურსები ონლაინ წარიმართა. ჯამში კურსი გაიარა 135 მსმენელმა.

3.4.1.2 არაქართულენოვანი მსჯავრდებულებისათვის სახელმწიფო ენის სასწავლო კურსის უზრუნველყოფა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიება ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

3.4.1.3 ეთნიკური უმცირესობებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/კოლეჯებში ხორციელდება ქართულ ენაზე. იმ პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ფლობა, პროფესიული ტესტირება შეუძლიათ გაიარონ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ამ გზით ჩარიცხულ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულების გავლით (A2 და B1). მესამე დონის პროგრამებისთვის განსაზღვრულია ქართული ენის A1 დონის მოდულის გავლა, ხოლო, მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებისთვის, როგორც A2, ისე B1 დონის ქართული ენის მოდულების გავლა.

3.4.1.3 (1) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში) / სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. მარნეულში დასრულდა პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ახალი, 150 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და გარე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. ქ. ახალქალაქში მიმდინარეობს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განყოფილების შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც 2021 წლის ზაფხულში დასრულდება. ქ. ახალციხეში მიმდინარეობს პროფესიული კოლეჯი „ოპიზარის“ სახელოსნოების მშენებლობა.

3.4.1.3 (2). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენაზე გავლილი პროფესიული ტესტირების საფუძველზე

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენაზე გაიარონ პროფესიული ტესტირება და ჩაირიცხონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გაუქმდა ცენტრალიზებული ტესტირება იმ პროგრამებზე, რომლებზეც არ დაფიქსირდება კონკურსი, ასეთ პროგრამებზე აპლიკანტები გაივლიან მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა შესარჩევ პროცედურებს. ხოლო დუალურ პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვების მიზნით აპლიკანტები გადიან დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ კონკურსს. ამასთან, 2020 წელს, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია მხოლოდ ერთხელ გამოცხადდა. შედეგად, სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩატარებული პროფესიული ტესტირების/კონკურსის/შერჩევის გავლის გზით 2020 წელს სწავლის უფლება მოიპოვა 227-მა აპლიკანტმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობისა და მათზე დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ცალკეული კოლეჯები წლის განმავლობაში ახორციელებდნენ საინფორმაციო ონლაინ შეხვედრებსა და ვებინარებს.

2020 წლის პროფესიული პროგრამების იმ აბიტურიენტების სტატისტიკა, ვინც ტესტირება მშობლიურ ენაზე გაიარა.

გამოცდის ენა	დარეგისტრირდა (1 პრიორიტეტი)	მოიპოვა სწავლის უფლება	2020 წელს ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამაზე
--------------	------------------------------	------------------------	---

აზერბაიჯანული	159	105	105
რუსული	196	88	84
სომხური	77	34	34
სულ	432	227	223

3.4.1.3 (3) ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა, რომელთაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დროს გაიარეს ქართული ენის მოდული.

2020 წელს იმ სტუდენტების ჯამური რაოდენობა, რომლებიც ჩაირიცხნენ პროფესიულ პროგრამაზე და ირიცხებოდნენ ქართული ენის A2 და B1 მოდულებზე არის 1262.

3.4.1.4 სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ეთნიკურ უმცირესობათა გადამზადება

- სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის განვითარების მიზნით, რაც, ქართული ენის სწავლების გარდა, ითვალისწინებს ბენეფიციართა საზოგადოებაში ინტეგრირებასა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით აქტივობების განხორციელებას, ჩამოყალიბდა სახელმძღვანელოებზე და შესაბამისი პროგრამების შექმნაზე მომუშავე ჯგუფი. მომზადდა „საანბანო კურსი“ შესაბამისი პროგრამითა და სილაბუსით, კურსმა წარმატებით გაიარა პილოტირება;
- სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2019 წელს ჩარიცხულმა (68 ჯგუფი) 842-მა წარმომადგენელმა და 2020 წელს ჩარიცხულმა (38 ჯგუფი) ეთნიკური უმცირესობის 504-მა წარმომადგენელმა;
- სახელმწიფო ენის პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 4 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და 5 სამხედრო ბაზაზე ჩატარდა საბოლოო გამოცდა (ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;
- პროგრამა განხორციელდა საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც გაიარეს საწყისი საბრძოლო მომზადება. ალგეთის, ვარციხის, ვაზიანის, ორხევის, ახალციხისა და კრწანისის სამხედრო ბაზებზე ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობის 238-მა წარმომადგენელმა რეკრუტმა. კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გამო 17 ჯგუფიდან სასწავლო პროცესი შეჩერდა 7 ჯგუფთან;
- სახელმწიფო ენას A1 დონეზე დაეუფლა/ეუფლება უცხო ქვეყნის 32 მოქალაქე, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება;
- დაკომპლექტდა 151 სასწავლო ჯგუფი, მათგან 42 - მობილური ჯგუფი შედგა 2 ქალაქში, 14 სოფელსა და 6 სამხედრო ბაზაზე, 13 ცენტრის და 96 დისტანციური სწავლების ჯგუფი. სულ 2020 წელს ჩაირიცხა - ეთნიკური უმცირესობის 1950 წარმომადგენელი;
- 2020 წ. სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები 13 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, 159 სასწავლო ჯგუფის ფარგლებში გაიარა 2059 მსმენელმა;
- ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში განხორციელდა ელექტრონული სწავლების

კომპონენტის გამოყენება, შესაბამისად, მოქმედი ჯგუფების ნაწილი, 79 ჯგუფის 890 ბენეფიციარი, გადავიდა ელექტრონული სწავლების ფორმატზე, მათგან სწავლა დაასრულა 64-მა ჯგუფმა;

- ჩატარდა სამუშაოები ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით: დაკომპლექტდა ჯგუფები Microsoft Teams-ის პლატფორმაზე, მომზადდა/მიმდინარეობს მუშაობა დამატებითი რესურსების შექმნასა (ქვიზები, მოსასმენი დავალებები, ტესტები) და საბოლოო ტესტირებების ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანაზე;
- სკოლის ადმინისტრაციასა და პროგრამების ტრენერებს ჩატარდა TOT ელექტრონული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით;
- მომზადდა ელექტრონული რეგისტრაციისთვის პლატფორმა, გამოიყო პასუხისმგებელი პირები, რომელთა დახმარებით ბენეფიციარებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად დარეგისტრირდნენ და ჩაერთონ ონლაინ სწავლებაში;
- დღეის მდგომარეობით დისტანციური ფორმატით სწავლებას გადის 104 ჯგუფის (2019 წელს ჩარიცხული - 2 და 2020 წლის 102 ჯგუფი) 1282 წარმომადგენელი;
- გარდა სტანდარტული პროგრამებისა, როგორცაა A1, A2 და B1 დონეები, ხორციელდება დარგობრივი მიმართულების პროგრამები 14 სხვადასხვა მიმართულებით. ტურიზმის, საექთნო საქმის, სამოქალაქო განათლებისა და მენეჯმენტის კურსებით ისარგებლა 8 ჯგუფის 90 ბენეფიციარმა;
- იანვარში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარდა წარმატებულ კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია.

3.4.1.5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართული ენის უფასო კურსების უზრუნველყოფა ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდის“ მხარდაჭერით თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში (2020 წელს დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება მეგობრობის სახლსა და აღნიშნულ ფონდს შორის)

ქ. ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

**სტრატეგიული მიზანი 4
ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება**

ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა მნიშვნელოვანი კომპონენტია სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში. წლის განმავლობაში ამ მიმართულებით გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით გაგრძელდა მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

შუალედური მიზანი: 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა

ამოცანა: 4.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისაკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესება; კოორდინაციის უზრუნველყოფა რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან
4.1.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა

2020 წელს ა.ა.ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა 8 ღონისძიება. კერძოდ, ინტელექტუალური თამაშები - სოფლებში: არემფერანი, ფონა და ჰერეთისკარი. ასევე განხორციელდა პროექტი „მხიარული ზაფხული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში“ სოფლებში: არემფერანი, ფონა, კაბალი, დავითიანი და ჰერეთისკარი.

4.1.1.2 ქართული სახალხო დღესასწაულების აღნიშვნაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი აქტივობა ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.1.1.3 ააიპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ არსებულ წრეებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა

2020 წელს ააიპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ არსებულ წრეებში (ხატვის , ხეზე კვეთის წრე) ჩაირიცხა 10 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე.

4.1.1.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საზოგადო მოღვაწეების იუბილეების აღნიშვნა /ლიტერატურული საღამოები / კულტურული საერთაშორისო, საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა /ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ნორჩი მხატვრების გამოფენების მოწყობა
მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ ალგეთში, გაიმართა მულტიეთნიკური ფესტივალი „მინ“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტურათაშორისი დიალოგის/კავშირების გაღრმავებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და სხვა.

2020 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის და მარნეულის მუნიციპალიტეტის "კულტურის ცენტრის" მხარდაჭერით, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მუნიციპალიტეტის 4 სოფელში (შაუმიანი, ხოჯორნი, სადახლო, ალგეთი), პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“-ს ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

- კულტურულ-საგანმანათლებლო - ადგილობრივი ხელოვნების მონაწილეობით მოეწყო გამოფენები, კონცერტები;
- მეცნიერების/მწერლების შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც ასევე მოიცავდა კულტურული დიალოგის გაღრმავების მნიშვნელობას;
- სპორტული ეკიპირება გადაეცათ სკოლებს;

- მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება;
- ლექცია-სემინარები სხვადასხვა თემებზე;
- ცნობილი აზერბაიჯანელი მუსიკოსის - ვაგიფ მუსტაფა-ზადეს საიუბილეო თარიღთან (80 წელი) დაკავშირებით, ნაჩვენები იქნა მისი შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური ფილმი და დედაქალაქიდან ჩასული და ადგილობრივი ახალგაზრდა მუსიკოსების მონაწილეობით შესრულდა ვაგიფ მუსტაფა-ზადეს ცნობილი კომპოზიციები;
- ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების/მიმართულებების გაცნობა - „პროფორიენტი“;
- ადგილობრივი სკოლების რამდენიმე ბიბლიოთეკას გადაეცათ სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნები და სხვა.

მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა საჯარო ლექცია - „მულტიკულტურალიზმი და კულტურული მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება საქართველოში“.

ქ. მარნეულში ჩატარდა „მარნეულის მინი ფესტივალი“. ფესტივალი, CinéDOC - On Tour-ის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის და ადამიანის განვითარების და კულტურის საერთაშორისო სკოლის /HDACIS-SCHOOL/ ინიციატივით გაიმართა. ფესტივალის მხარდამჭერი იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია. გლობალური პანდემიის გამო ფესტივალი შეცვლილი ფორმატით ონლაინ, მარნეულის ტელევიზიის ეთერში გავიდა. სამი დღის განმავლობაში ტელევიზიაში გასული დოკუმენტური ფილმების შემდეგ, პირდაპირი ეთერით სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილ გადაცემას დაეთმო, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს ფესტივალისა და დოკუმენტური კინოს შესახებ. წელს მარნეულის კულტურის ცენტრის ინიციატივით, პროგრამაში შერჩეულ ქართული დოკუმენტური ფილმები სპეციალურად მინი-ფესტივალისთვის ითარგმნა და აზერბაიჯანული სუბტიტრი დაერთო.

მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ წერაქვში, „ერთიანი კავკასია 2020“ (One Caucasus 2020) ფესტივალზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-თან არსებული ბენდების "Sunshine-ის/ სანშაინ-ის" და "Midnight-ის/ მიდნაით-ის" კონცერტი გაიმართა. ფესტივალმა წელს რიგით მეშვიდედ შექმნა სივრცე კავკასიელი ახალგაზრდების შესახვედრად, სადაც როგორც დამწყებ, ასევე საკუთარ ქვეყანაში პოპულარულ ხელოვანებს, მუსიკოსებს და არქიტექტორებს უმასპინძლა. ღონისძიების მიზანს, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს შორის, საერთო კულტურული დიალოგის, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თავისუფალი სივრცის შექმნა წარმოადგენს, რომელიც განსხვავებული პროფესიისა და შეხედულების ადამიანებს აერთიანებს.

4.1.1.5 თავდაცვის ძალების სამხედრო ქვედანაყოფებში კულტურული მრავალფეროვნების თემატიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებების გამართვა

მრავალფეროვნების, ინკლუზიის და ქალთა თანაბარი მონაწილეობის თემებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს - „სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში“ ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ონლაინ სამუშაო შეხვედრებში. სამუშაო შეხვედრები მიზნად ისახავდა პროექტის "მრავალფეროვნება და ქალთა თანასწორი მონაწილეობა თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებში" ფარგლებში (პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში

ნიდერლანდების საელჩოს მიერ და ხორციელდება ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ) განხორციელებული თვისებრივი კვლევის წინასწარი შედეგების დამსწრეთათვის წარდგენას, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით უმცირესობებისთვის არსებული ბარიერების შესახებ დისკუსიების გამართვას და ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. სულ გაიმართა 7 ონლაინ სამუშაო შეხვედრა.

4.1.1.6 თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში მრავალფეროვნების თემების ინტეგრირება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად ცდილობს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის თემების ინტეგრირებას და მხარდაჭერას პოლიტიკის დოკუმენტებში, მათ შორის, თანასწორ მიდგომაზე აქცენტი კეთდება საქართველოს თავდაცვის ძალებში რეკრუტირების კონცეფციის ახლად შემუშავებულ დოკუმენტში. ისევე, როგორც თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი გაჟღერებულია სამხედრო მოსამსახურეთა კარიერის ტრანზიციის კონცეფციაში, რომლის პირველადი პროექტიც შემუშავებულია და მიმდინარეობს შიდა განხილვები. 2020 წლის დასაწყისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მხარი დაუჭირა უწყებაში „სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში“ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ თვისებრივ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით უმცირესობების პრობლემების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებულია თავდაცვის ძალების რეკრუტირების კონცეფციაში, რომლის პირველადი პროექტიც შემუშავებულია და მზადაა დასამტკიცებლად.

4.1.1.7 საზოგადო მოღვაწეების, პოეტებისა და მწერლების იუბილეების აღნიშვნა, ლიტერატურული საღამოების მოწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა. გამოჩენილი მხატვრების იუბილეების აღნიშვნა და გამოფენების მოწყობა. აგრეთვე, ნორჩი მხატვრების ნახატების გამოფენის ხელშეწყობა

ქ. ბათუმში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა განახორცილეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ზეიმი „ლესიობა“, ლესია უკრაინკას დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიება;
- ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ლიტერატურული საღამო პოეტ ვახტანგ ლლონტთან და გენრი დოლიძესთან;
- ღონისძიება „გზად და ხიდად“, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა სპორტულ შეჯიბრება „ესტაფეტას“ და ნორჩ მხატვართა გამოფენასა და კონკურსს;
- საზოგადო მოღვაწე ვიდადი ახუნდოვის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

4.1.1.8 ეთნიკურ უმცირესობათა სხვადასხვა სახალხო კულტურული და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა. ასევე, საქართველოს ტრადიციული სახალხო კულტურული და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზებაში ჩართულობა.

მიმდინარე წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და „მეგობრობის სახლის“ ორგანიზებით გაიმართა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული და რელიგიური დღესასწაულები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის:

- ეთნიკურ უმცირესობათა ეროვნული/რელიგიური/კულტურული დღესასწაულები:

- ❖ შობის დღესასწაული;
 - ❖ ოსვენცემის საკონცენტრაციო ბანაკის „შუა“ გათავისუფლების 75 წლისთავი;
 - ❖ სახალხო დღესასწაული „ტუ-ბი-შვატ“-ი - ხეების ახალი წელი.
- საქართველოს/საერთაშორისო სახალხო/რელიგიური/კულტურული დღესასწაულები:
 - ❖ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
 - ❖ ყურბან ბაირამის დღესასწაული
 - ❖ უკრაინის დამოუკიდებლობის დღე

შუალედური მიზანი: 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

ამოცანა: 4.2.1 ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა

4.2.1.1 არაქართულენოვან სკოლებში ეთნიკური უმცირესობისთვის წიგნადი ფონდით დახმარება

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად 2020 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 4 აქტივობა განახორციელა. ამ ღონისძიებების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია. მათი ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია.

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა "ეკვილიბრიუმი" ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებს: მარტუნს, ორჯას, ხანდოს, კუმურდოს, მოდეგამის, ხვეეთს, მისანიკიანს, კორხის, ოკამს, ქარცეფს, კოჭიოს, მაჭატიას, ლადოს, ტურცხის, ლომატურცხის, ალათუმანის, გომანისა და ბალხოს ეწვია, სადაც უახლესი წიგნებით, მცირე ქართული ბიბლიოთეკები მოეწყო.

4.2.1.2 ფოტოგამოფენა „მრავალეთნიკური საქართველო“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი აქტივობა ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.2.1.3 საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ექსკურსიების გამართვა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი აქტივობა ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.2.1.4 ეთნიკურ უმცირესობათა არამატერიალური კულტურის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით თვალსაჩინო წარმომადგენლების შესახებ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება, გამოფენების მოწყობა

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.2.1.5 ეთნიკური უმცირესობების სახალხო დღესასწაულების „ავასობა“ (წალკა) „ნოვრუზ ბაირამი“ აღნიშვნა; ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.2.1.6 ტოლერანტობისადმი მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.2.1.7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ-შემეცნებითი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების/დისკუსიების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობების კულტურის წარმოჩენა/ღონისძიებების წახალისება

ქ.ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

შუალედური მიზანი: 4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება

ამოცანა: 4.3.1 კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება

4.3.1.1 ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.3.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლებისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ქ. ბრიუსელში სასწავლო ვიზიტის გამართვა

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.3.1.3 "მრგვალი მაგიდის" შეხვედრის ორგანიზება ეთნიკურ ქართველებსა და თბილისში მცხოვრებ არაქართულენოვან მოსახლეობას შორის. ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები საკუთარ კულტურას წარმოაჩინენ

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.3.1.4 ეთნო ფესტივალის გამართვა

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.3.1.5 – 4.3.1.6 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში არსებული მუზეუმების გაძლიერება საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით; მუზეუმების თანამშრომელთა გადამზადების გზით საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მუზეუმების კოლექციებისა და მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების გაცნობა ტურებისა და სპეციალური პროგრამების მეშვეობით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით და მხარდაჭერით მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ განხორციელდა პროექტები „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 6 ღონისძიება. ონლაინ რეჟიმში განხორციელდა 80-ზე მეტი აქტივობა.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ბოლნისის მუზეუმმა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს უმასპინძლა. მათ მუზეუმის გენერალური დირექტორი და თურქეთის ელჩი შეხვდნენ. ღონისძიების კოორდინაცია მოახდინა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“. ეს ორგანიზაცია საქართველოში თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

სსიპ - მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი

საანგარიშო პერიოდში მუზეუმში აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე, ჩატარდა მუზეუმთან არსებულ კულტურის ცენტრში კულტურულ საგანმანათლებლო პროექტის პრეზენტაცია, ხოჯალოს ტრაგედიისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „არა ოკუპაციას“- ფოტომასალების გამოფენა და დოკუმენტური ფილმის ჩვენება, მუზეუმის ინიციატივით საქართველოში აზერბაიჯანულენოვან სკოლებს გადაეცათ წიგნები. გარდა ამისა, პანდემიის გათვალისწინებით, სხვადასხვა ფორმატში უზრუნველყოფილ იქნა სხვა ღონისძიებებიც (სულ 14 ღონისძიება).

სსიპ - დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის აქტივობები: ლიტერატურული, ხსოვნისა და პოეზიის საღამოები, მოხდა ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა; გაიმართა ფილმების პრეზენტაცია/ჩვენებები, ჩატარდა ვიქტორინები, (სულ 14 ღონისძიება).

სსიპ - სმირნოვების მუზეუმი

2020 წლის თებერვლიდან მუზეუმი სსიპ - “გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დავალებით ახორციელებდა პროექტს „სსიპ მემორიალური მუზეუმების ფონდებში დაცული განსაკუთრებული მნიშვნელობის ექსპონატების ეტაპობრივი ინვენტარიზაცია, ერთიანი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად“, რის გამოც მუზეუმი იყო დალუქული და არ ღებულობდა ვიზიტორებს.

თეატრები:

- თეატრები სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - დაფინანსდა 1 240 000 ლარით
- სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - დაფინანსდა 518 800 ლარით
- სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - დაფინანსდა 182 000 ლარით

პანდემიით გამოწვეული რეკომენდაციებისა და შეზღუდვების გამო, აღნიშნული თეატრების აქტივობა - სპექტაკლების ჩვენება სტაციონარზე, ასევე საგასტროლო საქმიანობა - წლის მანძილზე არასტაბილურად წარიმართა. 2020 წელს თეატრები, ძირითადად, ახალი სპექტაკლების მომზადებაზე მუშაობდნენ, რომლებიც შევა მათ რეპერტუარში და ფართო საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იქნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

წლის პირველ ნახევარში სომხურმა თეატრმა, რეკომენდაციების დაცვით, ღია სივრცეებში, გასტროლები გამართა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

დასკვნით ეტაპზეა სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროცესი. განახლებული თეატრი გაიხსნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

4.3.1.7 პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზება ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის (პანკისის ხეობა) რეგიონების სოფლებში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, სსიპ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მიერ საანგარიშო პერიოდში გეგმის მიხედვით, განხორციელდა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც ეთნიკური

უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავს მიზნად. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 26956 ლარი.

პროექტის ფარგლებში, ქვეყანაში დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით, მათ შორის დისტანციური ფორმატით, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (მარნეულის მუნიციპალიტეტსა და სოფლებში - სადახლო, ხოჯორნი, ალგეთი, თაზაქენდი, შაუმიანი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ეშტიაში, ახალციხის მინიციპალიტეტში, წალკისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, ახმეტის მუნიციპალიტეტსა და სოფელ საკობიანოში).

- ❖ შეხვედრები და სალექციო კურსი მწერლებთან, მეცნიერებთან, ხელოვანებთან, სხვადასხვა თემაზე (აშუღური პოეზია და აზერბაიჯანული ფოლკლორი; სომხური ლიტერატურა თარგმანებში; ქართულ - სომხური ლიტერატურული ურთიერთობები; ვაინახები საქართველოში - 19 ლექცია/სემინარი);
- ❖ 6 სხვადასხვა სახის გამოფენა ადგილობრივი და ქ. თბილისიდან ჩასული ხელოვანების მონაწილეობით;
- ❖ პრეზენტაციები - ქართულ-აზერბაიჯანული პოეზიის ანთოლოგია; ვიქტორ ჰოვსეფიანის პოეტური კრებული;
- ❖ ბოლო დროის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური და მხატვრული ფილმების ჩვენება;
- ❖ კონცერტები ადგილობრივი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და ქ. თბილისიდან ჩასული მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით;
- ❖ მოძრაობის თეატრის - 2 სპექტაკლი „ჩუმად, რეპეტიცია“ და „ძალადობა სუსტების იარაღია“

დამატებითი ღონისძიებები:

- ❖ საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარდა კონკურსი „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა 6 პროექტი და მათმა დაფინანსებამ ჯამურად შეადგინა 96 875 ლარი.
- ❖ კონკურსის ფარგლებში გამოიცა 4 წიგნი/კატალოგი, 1 წიგნის გამოსაცემად მომზადდა ელექტრონული ვერსია, რომლებშიც ასახულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა შემოქმედება, კულტურული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.
- ❖ შეიქმნა ვებ-პორტალი - ინფორმაციული ბაზა, სადაც საძიებო სისტემით შესაძლებელია საქართველოში მცხოვრები კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკური უმცირესობების და მათი ნამუშევრების ასევე, კულტურული მემკვიდრების ძეგლების, მუზეუმების და სხვა კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

4.3.1.8 პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველოს კულტურული ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულების ხელშეწყობა (ექსკურსიების/ტურების ორგანიზება)

ქ. ბათუმის მერიასთან არსებული „მეგობრობის სახლის“ მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საექსკურსიო ტური „დენდროლოგიური პარკი“ (შეკვეთილი); საექსკურსიო ტური „მინიატურული საქართველო“ (შეკვეთილი/ციცინათელა); საექსკურსიო ტური ფიჭვნარი (ქობულეთი); საექსკურსიო ტური მტირალა (ჩაქვის თავის ეროვნული პარკი).

დამატებითი ღონისძიებები:

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის აქტივობა:

მიმდინარე წელს ფესტივალ One Caucasus-ის მონაწილეებმა ბოლნისსა და მარნეულში მცხოვრები მოქალაქეებისთვის მხარდასაჭერი ვიდეო ჩაწერეს. ფესტივალი One Caucasus, ბოლნისსა და მარნეულში საკარანტინო მდგომარეობის პირობებში მცხოვრებ მოსახლეობას სოლიდარობას უცხადებდა. ფესტივალის 54-მა მოხალისემ, მუსიკოსმა, მასწავლებლებმა და მონაწილემ 17 ქვეყნიდან, მხარდასაჭერი ვიდეო ჩაწერა და ბოლნისსა და მარნეულში მცხოვრებ ადამიანებს სოლიდარობა გამოუცხადა. One Caucasus ინტერდისციპლინული საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

საანგარიშო პერიოდში ბოლნისის ახალ მუზეუმში გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „გერმანელები საქართველოში“ დახურვა გაიმართა. პროექტის მიზანი ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ქართულ- გერმანული ურთიერთობების გაცნობა იყო. სალექციო კურსის ფარგლებში სულ ხუთი ლექცია ჩატარდა და მასში მონაწილეობა 140-მა მოსწავლემ მიიღო.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით სამთავრობო კომისიის საქმიანობა:

4.3.1.9 კომისიის სხდომების გამართვა

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით საქმიანობა განაგრძო სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ. გაიმართა კომისიის გასვლითი სხდომები, სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებულია ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში. წლის განმავლობაში გაიმართა გასვლითი სამუშაო სხდომები ქ. ბორჯომსა და ქ. ბათუმში. გასვლით სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სამთავრობო კომისიის წევრები, ასევე სახალხო დამცველის, ეთნიკური უმცირესობებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრებზე იმსჯელეს იმ საკითხებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ, რაც ახალ დოკუმენტში იქნება შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული.

4.3.1.10 სამთავრობო კომისიის თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრების გამართვა

სამთავრობო კომისიის თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

4.3.1.11 ახალი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით მოამზადა მოქმედი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები, რაც ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოქვეყნებულ დასკვნებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან ერთად საფუძვლად დაედო ახალ სტრატეგიულ დოკუმენტს; გათვალისწინებული იქნა ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები და ჩამოყალიბდა მათი დაძლევის მექანიზმები. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2021-2030 წწ.) ახალ დოკუმენტზე მუშაობა წარიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დარგობრივი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს, დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით.

4.3.1.12 „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასების დოკუმენტის წარდგენა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთვის

იხ. 4.3.1.11

4.3.1.13 „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ საბოლოო შეფასების დოკუმენტის მომზადება

იხ. 4.3.1.11

4.3.1. 14 სამთავრობო კომისიის სხდომებისა და შეხვედრების გამართვა

იხ. 4.3.1.9

დამატებითი ღონისძიებები:

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების საკონსულტაციო საბჭოს დისტანციური სამი სხდომა. სხდომებზე იმსჯელეს პანდემიის პირობებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის საჭიროებებზე, არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე განიხილეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, ზემოხსენებულ პერიოდში განხორციელებული საქმიანობა;
- საანგარიშო პერიოდში გაიმართა სახელმწიფო მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების გუბერატორებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, პედაგოგებთან, ახალგაზრდებთან, უხუცესებთან. შეხვედრებზე ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილეს სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები.
- წლის განმავლობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, პერიოდულად ულოცავდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, როგორც მოსახლეობას, ასევე დიპლომატიურ კორპუსს, მათ ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს.

თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან/მოსახლეობასთან. სხვადასხვა თემაზე რეგულარულად ტარდებოდა შეხვედრები, დისკუსიები, კონსულტაციები.

ასევე, ნაყოფიერი თანამშრომლობა წარიმართა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის ფარგლებშიც: სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ანტიდისკრიმინაციის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის მმართველი კომიტეტის (CDADI) პირველ პლენარულ შეხვედრაში, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების კომიტეტის მე-6 შეხვედრაში, ასევე ევროკავშირისა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დიალოგის მე-13 შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც პარტნიორებს გაუზიარეს ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერისა და ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი, არსებული მდგომარეობა. ასევე, უზრუნველყოფილი იყო ჩართულობა ევროპის საბჭოს ბოშების საკითხზე ექსპერტთა კომიტეტის (ADI-ROM) მე-2 შეხვედრაში.

საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში, წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ მომზადდა შემდეგი ანგარიშები:

- ❖ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 მონიტორინგის ციკლის ფარგლებში - „საქართველოს სახელმწიფო ანგარიში 2020“;
- ❖ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შესრულების ფარგლებში - მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშები;
- ❖ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესრულების შესახებ საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიში.

აღნიშნულ ანგარიშებში აისახა მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული შედეგები.

წლის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვის, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე მათი ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლების, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.